



X V.

ყოველკვირული გაზეთი.

X V.

№ 12.

კვირა, 17 მარტი 1902 წლისა.

№ 12.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელთა“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თუტრის ქუჩა, № 12. ტელეფონი № 734.

თფილისის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

**ზინაბარსი:** ქალაქის მართვა-გამგეობა, ფ. გ.—ახალი ამბები.—კორესპონდენტები.—ქალაქის გავლენა ადამიანზე ფიზიკური ზიარების მხრივ, ექიმისა.—გაზაფხული, ლექსი, ი. ველოშვილისა.—დასტები, მ. გორკისა.—უცხოელი სტუდენტები გერმანიაში, პ. კ.—ნისა.—სასაღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—სამშობლოს ცაზე, რეგოლეტისი.—ქათურის ამბები, R.—ოჯახის წარმოება და განვითარება, გრ. რობაქიძისა.—საქველ-მოქმედო საქმეები.—განცხადება.

**ქალაქის მართვა-გამგეობა.**

**II. ჰიგიენა.**

წინა წერილში ჩვენ ქალაქის ჰიგიენურათ მოწყობა-მართვა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა ისეთ საქმეთ ჩათვალეთ, რომელიც საერთოთ ქალაქის ყველა მცხოვრებლებისთვის სასარგებლო და წარმატების მომცემია. მართალია ეს არის აქაც ზოგიერთი ისეთი შემთხვევები, რომლებმაც, შეიძლება, კაცი დაეჭვოს და აფიქრებოს: არა, ეს ყველასთვის სასარგებლო არ იქნებაო. განვიხილოთ.

თვით-მართველობის ზრუნვა ქალაქის ჰიგიენაზე იმაში გამოიხატება, რომ იგი აარსებს ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვას ხელს უწყობს, და ადგენს ისეთ წეს-რიგს ქალაქის მართვა-გამგეობაში, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება. და, აი, აქ მოხდება ხოლმე, რომ პირადი ანგარიშებით გატაცებული მოქალაქე თვით-მართველობის მიერ მიღებულ ზომებს თავის საზარალოთ და პირადი თავისუფლების შემზოქველათ ჩათვლის.

ავილოთ მაგალითათ ხორცის გასინჯვის საქმე. ცნობილია და დატკიცებულია, რომ თუ საქონელი ჰირიანია, მისი ხორცის ჰამით ადამიანსაც გაუზნდება სენი. მცხოვრებთა ჯანმრთელობის დასაცველათ აუცილებლათ საჭიროა, რომ ხორცი, სანამ გასაყიდათ გამოიტანებოდეს, გაშინჯულ იქნეს თვით-მართველობის მიერ დანიშნულ სპეციალისტებისაგან. ჰირიანათ და მანებლათ ცნობილი ხორცი უნდა წაერთვას ყასბებს და გასაყიდათ არ იქნეს გამოტანილი. ამას მოითხოვს მოქალაქეთა სიცოცხლე და ამასვე უნდა თხოულობდეს ქალაქის გამგეთა სინდისი და ზნეობრივი მოვალეობა. მაგრამ ამასვე არ თხოულობს ხშირათ ყასბის არც სინდისი და არც ნივთიერ სარგებლობის გამოანგარიშება... ყასბს უნდა თავისი საქონელი, ჰირიანია იგი თუ სალი, გაყიდოს და სარგებლობა ნახოს. გამოდის, რომ მართველობა, რომელიც მას ჰირიანის გასაღებას უკრძალავს, სარგებლობას უმცირებს, ჯიბის გასქელებას უძნელებს.

კიდევ უფრო შორს უქცდება ამ მაგალითის აზრის გატარება. ქალაქის მცხოვრებლებს მოიპოვებიან ისეთი ხელობის

პირნი, რომლებიც ნივთიერ სარგებლობის ინტერესი ამ შემთხვევაში ყასბის ინტერესთან არის შეთანხმებული. გავიხსენოთ ექიმები, გავიხსენოთ მეაფთიაქეები... რამდენათაც ხშირია სენი და ავთყოფობა, იმდენათვე ხშირათ უხდება ექიმს ავთყოფობათ სიაუული და, მაშასადამე, გასამრჯელოს აღება, იმდენათვე მეტ წამლებს ყიდის და მეტ ფულს იძენს მეაფთიაქეც.

ამიტომ შეიძლება მართლა იფიქროს ვინმემ, რომ ვითომ „სხვისი ჰირი“ ყველა აქ მოხსენებულ ხელობათა წარმომადგენლებისთვის სასარგებლო და ხელ-საყრელი იყოს. მაგრამ ეს შეცდომა იქნება, შეცდომა, აგებული ყალბ ანგარიშზე და ყალბ საფუძველზე. ყასბისათვის ის ჯობს, რომ ქალაქში მცხოვრებნი მრავლდებოდნენ და მას ყოველ დღე ყავდეს მეტი მუშტარი და არა ის, რომ ერთ დღე დახოცოს ჰირიანი ხორცი თვისი მუშტრები და მეორე დღეს დაჯდეს ცარიელ დაზვასთან და თვალის დუქნის გასუქებული ბუზები. და რაც შეეხება ექიმებსა და მეაფთიაქებს, განა ისინი კი ადამიანები არ არიან? ჰირიანი ხორცი იმათაც ისე მოწამლავს, როგორც მე და თქვენ, რომლებიც არც რეცეპტებსა ვწერთ და არც წამლებს ვყიდით მამასისხლათ. და ესეც რომ არ იყოს, ექიმსაც და მეაფთიაქესაც მეტი ხეირი ექნება, თუ მოქალაქეებს იკოცხლებს და უცებ არ მოკვდება. ორვესთვის ის ჯობს, რომ მოქალაქემ 80—100 წელიწადს იკოცხლოს და მათ ორმოცჯერ მიმართოს, და არა ის, რომ სამ დღეში გაჰიბოს ფეხი, თუნდა ამ სამ დღეში ათჯერაც დასჭირდეს ექიმის მოწვევა და ამდენჯერვე წამლების გამოტანა აფთიაქიდან. ეს არის უფრო მართალი ანგარიში. ის ფაქტი, რომ ყასბი, მაგალ., ხორცის გაშინჯვის წინააღმდეგი იქნება, არ დატკიცებს, რომ ვითომ ხორცის გაუშინჯველობა და, მაშასადამე, მოქალაქეთა ხშირი მოწამლევა მისთვის სახეირო იყოს. ადამიანი ბუნებით ძალიან ზანტი და ძალიან ძნელათ შემკნებელია. იგი ხშირათ ვერ იგებს ისეთ რამეებსაც, რომლებიც მისთვის გამოსადეგი და სასარგებლოა. სიხარბე მას დღევანდელი სარგებლობით ბევრჯელ ხვალინდელს და ზეგინდელს ავიწყებიებს.

არა, ქალაქის ჰიგიენურათ მოწყობა ყველასთვის საჭიროა

და სასარგებლოა. სასარგებლოა მდიდრებისთვის, სასარგებლოა ღარიბთათვისაც. აქ ვერ იტყვის მდიდარი: დაინტერესებული არა ვარ, ეს ჩემთვის საჭირო არააო. ყველა მოქალაქეები ისუნთქვენ ერთ და იმავე ჰაერს, ყველანი ხმარობენ ერთ და იმავე წყალს, ყველანი ცხოვრობენ ერთ და იმავე ნიადაგზე. მყარალი, გაფუჭებული ჰაერი მდიდარსაც მოხვედბა ცხვირში და ღარიბსაც, იგი ერთსაც აწენებს და მეორესაც. ქუჩებში მდიდარიც დადის და ღარიბიც. თუ ქუჩა მტვრიანია, დაუგველი და მოუწყველია, ქაღალდის ბატილებს მტვერთან ერთათ ღარიბიც ჩაყლაპავს და ჩასუნთქულ-ჩაკურტებული ბურჟუაზი. სუფთა და კარგათ მოფენილი ქუჩები ორივესთვის სასიამოვნოა, ორივესთვის სასარგებლოა. მართალია, შეძლებული ეტლით სიარულსაც მოახერხებს, მაგრამ ოღრო-ჩოღრო და ტალახიან ქუჩების გამო, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ეტლის რეზინების გამოცვლა მაინც ხშირათ დაჭირდება. და ჩვენისთანა ხალხს კი, მკითხველო ჩემო, ჩემები დაუსკდება ტალახისაგან, და ჩვენთვის ესეც ანგარიშია.

ასე საჭიროა ქალაქის ჰიგიენა ყველა მოქალაქეებისთვის, განურჩევლათ კლასისა და წოდებისა. მაგრამ მისი საჭიროება განსაკუთრებით დიდია დაბალ, შეუძლო, მშრომელ ხალხისთვის. ისეთ ადამიანის სხეულს, რომელიც მუდამ ჯაფაში და შრომაშია, მუდამ მოქანცულია, საკმარისათ ვერ ჰკამს და ვერ იკვამს, მუდამ ადვილათ ეკიდება და ერევა ყოველგვარი სენი და ავითყოფობა. სწორეთ ასეთ კაცს ეჭირვება უკეთესი ჰიგიენური პირობები, მეტი საექიმო მოვლა და დახმარება. მიუხედავად ამისა, რას შვრება ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობა? სწორეთ ის უბნები დაუფიწყებია, საცა უმთავრესათ დაბალი, შეუძლო ხალხი ცხოვრობს. იქ არის გასაშტერებელი უსუფთაობა, სიმყარლე, სიმყარლე და კიდევ სიმყარლე. ასეთია ჩვენებურ ქალაქის მმართველობის „ზრუნვა“ ხალხზე, იმ ხალხზე, რომელიც თვისი დაუღალავი შრომით და მეცადინეობით ბურჟია მთელი ქალაქისა!

ხალხის ჯან-მრთელობაზე ზრუნვა, ამისათვის შრომა და მოღვაწეობა არ მოასწავებს მარტო ფილანტროპობას, მარტო ჰუმანურ გრძნობათა ამოძრავებას და ამოქმედებას. არა, ეს ნიშნავს უმთავრესათ ხალხის ეკონომიურ წარმატებისთვის ზრუნვას, მის კულტურულ წინ-სვლისთვის მოღვაწეობას. მხოლოთ ჯან-სად ხალხს შეუძლია ეკონომიურ პროგრესს შექმნა, მხოლოთ ასეთ ხალხს ძალუძს კულტურის ნაყოფთა შეთვისება და შესახლ-ხორცება. ისეთ ეკონომიურ წეს-წყობილების ხანაში, როგორიც ეს ჩვენი ხანაა, საცა ყველანი ერთმანეთზე ერთ ეკონომიური კავშირით გადაბმულ-გადაჯაჭვული, ერთს დაევალება და დასუსტება ნიშნავს მეორის დასუსტებას და დაზარალებას, ერთის უდროვოთ სიკვდილი და გაქრობა შედეგათ იწვევს მეორის ეკონომიურ საქმეების გაწყვეტას და არე-დარევას. აქ არ შეიძლება იმის თქმა, მაგალითათ, რომ მუშის, ხელოსნის, ან ნაქრის, ან სხვა ვინმეს დაავითყოფება, სხეულით დაძაბუნება მთელ ქალაქს არ შეეხება, მთელ საზოგადოებას არ აინტერესებსო. არა, ეს ყველას შეეხება, ეს ყველასთვის საინტერესოა. ეს ხალხი ხომ რამეს აკეთებს, მუშაობს, რამეს აწარმოებს. ამიტომ მისი დაავითყოფება და ლოგინათ-ჩავარდნა ნიშნავს საზოგადოებაში საწარმოვო ძალის შემცირებას და შესუსტებას. განა სულ ერთია მექარხნისთვის ან ვაჭრისთვის, მუშა მაგარი იქნება აგებულებით თუ სუსტი, ნაქარი ჯან-მრთელი იქნება თუ დასუსტებული? ცხადია, ეს მათთვის სულ ერთი ვერ იქნება. სხეულით სუსტი მუშა სამუშაოსაც სუსტათ ასრულებს, მის მოძრაობას ნაკლები ძალა აქვს, მის მუშაობას ნაკლები ნაყოფი მოაქვს. ეს ნაყოფის ნაკლებობა საგრძნობელია კაპიტალისტისთვის, საგრძნობელია მთელი საზოგადოებისთვისაც. საზოგადოების ინტე-

რესი მოითხოვს ხალხის საწარმოვო ძალა ვითარდებოდეს, ადამიანის შრომა მეტ ნაყოფს იძლეოდეს. მხოლოთ მაშინ იქნება შესაძლებელი მოთხოვნილებების გამრავლება და დაკმაყოფილება, ცხოვრების გაუმჯობესება და საერთო კულტურის გაძლიერება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ხელს არ უწყობს სამუშაო ძალის დაზოგვას, რაც უდროვოთ აფუჭებს და აინაგებს ადამიანის ძალ-ღონის, ხელს უშლის საზოგადოების წინ-სვლელობას, აფერხებს და აბრკოლებს ეკონომიურ წარმატებას და კულტურულ განვითარებას.

ასე დიდია ჰიგიენის მნიშვნელობა. ამიტომაც ევროპის ქალაქები მილიონებს ხარჯვენ ქალაქის ჰიგიენურათ მოწყობისთვის და მცხოვრებთა ჯანმრთელობის დასაცველათ დაარსებულ დაწესებულებათა შენახვისთვის. და ჩვენში? ჩვენში კი ეს კითხვა თითქმის სულ მთლათ მივიწყებულია, ამისთვის ძალიან ცოტა რამ იხარჯება და კეთდება. ნეტა მაინც არ იყოს გასაკეთებელი საქმეები, ნეტა მაინც არ არსებობდეს საჭიროება და მოთხოვნილება! საჭიროება დიდია, შესასრულებელ საქმეები მრავალთ-მრავალია, მხოლოთ არ არის მხნეობა და ენერჯია, არ არის შრომა და მოქმედება.

ჰიგიენის მხრით ქალაქის მოსაწყობათ იმდენი რამეებია საჭირო, რომ ჩვენ აქ ამ მოკლე წერილში მათ მარტო ჩამოთვლასაც ვერ მოვახერხებთ. ამიტომ მოვიხსენიოთ მხოლოთ ისეთი საგნები, რომლებიც უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია. სიწმინდე ქალაქის, სისუფთავე მცხოვრებთა, ჰიგიენური ბინები, წმინდა და საღი საკვები მასალა, საავითყოფოები და ავითმყოფთა მოვლა, — აი, ეს არის ქალაქის ჰიგიენის უმთავრესი საგნები.

ქალაქის გასუფთავების საქმეში პირველი ალაგი უეჭველათ ფეხის ადგილების გაწმენდას უჭირავს. ეს გაწმენდა შეიძლება სხვა-და-სხვა წესით სრულდებოდეს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქნება ფეხის ადგილები მოწყობილი. საზოგადოთ სამნაირი წესი იხმარება ფეხის ადგილების გასაწმენდათ. პირველი წესია უწმინდურების ორმოდან ბოქვებში გადაღება და ქალაქს გარეთ გატანა. მეორე წესი არის ფეხის-ალავის ორმოში ბოქვის ჩადგმა და გავსების შემდეგ შინაარსის ბოქვიანათ გატანა ქალაქიდან (tosses mobiles), ხოლო მესამე წესი კანალიზაციით სრულდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიწაში მიღები გაყავთ და ფეხის ალაგები უწმინდურებას ამ მიღებით უშვებენ მდინარეში. ეს წესი, უეჭველათ, როგორც ჰიგიენის ისე ესტეტიკის მხრით საუმჯობესოა. მაგრამ ეკონომიურ სარგებლობის მხრით კი პირველ ორ წესთან შედარებით საუმჯობესოთ ვერ ჩათვლება, რადგან აქ ნაკელი ფუჭათ იკარგება და იქ კი მიწის პატივით იხმარება და მეურნეობაში გამოსადეგი რჩება. გარდა ამისა კანალიზაციის სისტემას შედეგათ მოსდევს მდინარის ნამეტნავათ გაბინძურება, ასე რომ თუ მდინარე საკმარისათ დიდი არ არის, რომ ქალაქს მიერ საჩუქრათ ბოძებული ქუჩუი აიტანოს, საჭირო ხდება უწმინდურების გასაწმენდ მოწყობილობის აგება (Kläranlage). რომ მდინარეში მხოლოთ გაწმენდილი წყალი იქნეს ჩაშვებული. ახლანდელი მრეწველობა და ტექნიკა ისეა განვითარებული, რომ ამ დაწმენდისაგან დარჩენილ ნივთიერებას ევროპაში ბევრ რამეში იყენებენ. ამას ნახშირის მაგივრათაც კი ხმარობენ ქარხნებში. მაგრამ აქ ნახსენებ მოწყობილობის აგება ბევრ ფულს თხოულობს, ასე რომ მისი მომართვა პატარა ქალაქებს გაუჭირდებათ. მიუხედავათ ამ სიძნელისა, კანალიზაცია, უეჭველათ, ქალაქის გაწმენდის საუკეთესო წესათ უნდა ჩათვალოს.

მაგრამ ქალაქის გაწმენდის საქმე მარტო ამით არ სრულდება. უნდა იწმინდებოდეს ქუჩები, მოედნები და ბაღები, უნდა სუფთათ ინახებოდეს სახლები. რაც შეიძლება, ნაკლები უწმინდურება უნდა იყრიდოდეს ქუჩებზე და მოედნებზე. მერე

ზრუნავს კი ამისთვის ჩვენი თვით-მართველობა? აი ერთი მაგალითი მრავალთაგან. მთელ თფილისში ორი საზოგადო ფუნის-ადგილიც კი ძლივსაა გამართული. ხალხისთვის ხომ ასეთი ალაგი შინაც საქირია და გარეთაც. აბა ვინ ზის ქალაქში მუდამ შინ კარ-ჩაკეტილი. ქალაქში მუდმივი შიშობაა, მუდმივი მიმოსვლაა. ნუ თუ ამ გარეთ მოსიარულე ხალხს არ დასჭირდება ბუნებრივ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება? თვით-მართველობამ რომ ბძანოს მართლა: ქუჩების გაბინძურება „BO-სრешено“-ვო, ამით არა იქნება-რა, ეს აღკრძალვა ქალაქ-დზე დარჩება და ქუჩებს სიბინძურე არ მოაკლდება. ალბათ ქალაქის „გამგებებს“, ვითარცა ესტეტიურათ ფრიად განვითარებულ გვამთ, სასირცხლო და საძრახისათ მიაწინათ საზოგადო ფუნის-ალაგების აგება. ამით ხომ შევლახება და შეურაცხყოფილ იქნება ზრდილობა-ნამუსის გრძნობა. როგორ შეიძლება! ფილისტერი მარის ფილისტერია: იგი ჯიბეში ჩაიღებს ნიჭს და სხვას კი არ აფიქრებებს თავის ნიჭიანობას.

და განა ნართო აქ ჩანს ჩვენი თვით-მართველობის უსაქმურობა და არა-რობა? საცა კი გაიხედავთ, ყველგან ამასვე შენიშნავთ. აი, თუნდა გავიხსენოთ ქალაქის ბაღები. ყველა განათლებულ ქვეყნებში ქალაქები ცდილობენ ბაღების და პარკების გადიდებას და გალამაზებას. ამისთვის არ ერიდებიან არც ხარჯს, არც შრომას, რომ მცხოვრებთ საშუალება მიეცენ წმიდა ჰაერით და ბუნებით დატკობისა. ჩვენი თვით-მართველობა? იგი, ნაცვლათ ვაკეთებისა, აფუჭებს იმ ბაღებსაც, რომლებიც მას ღრთა ვითარებით გადმოცემია. უთმობს შიგაღვილს რალაც უცნაურ შენობებს და სრულიათ ასახიჩრებს ქალაქის ორათ-ორ ბაღს.

ქალაქის გაწმენდა-გასუფთავებასთან მცხოვრებთა სისუფთავესაც არ უნდა ივიწყებდეს მართლა მომქმედი და მოღვაწე თვით-მართველობა. მართალია, მას არ შეუძლია მოქალაქეებისთვის პერანგების გამოცვლა, მაგრამ ამას სხვა ქვეყნებშიაც არ შერებია. სამაგიეროთ სხვა ქვეყნების ქალაქები აარსებენ იაფ-ფასიან აბანოებს და შეუძლო ხალხს აძლევენ ტანის ხშირათ გასუფთავების საშუალებას. ერთ შაურათ გერმანიის ქალაქში ტანის დაბანა შეგიძლიათ, იბანებთ ცალკე ოთახში და საქირო საბანსაც აბანოშივე მოგცემენ. არც ერთ ჩვენ ქალაქში ასეთი აბანოები არაა დაარსებული. ამ ჩვენ თფილისში მაინც, საცა საბანაგო წყალი მიწიდან ამოქუხს ბუნებისგან გაღებულად, იაფ-ფასიან აბანოების აგება კი უნდა ყოფილიყო მოსახერხებელი. და თუ ქალაქის მართველობამ ეს ვერ შეძლო, კერძო აბანოს პატრონებთან მაინც უნდა დაეჭირა საქმე. მართველობას შეუძლია მებაზანოებში კონკურენცია აღძროს და იმას შეპირდეს მუშტრების გავზავნა, რომელიც უფრო იაფათ გაურიგდება. ამას შემდეგ იგი დაამზადებს მარკებს და მიცემს მოთხოვნილებს, რომლებიც ამ მარკებს აბანოს კასაში წარადგენენ და აბანოში შესვლისთვის დაკლებულ ფასს გადაიხდიან. ამით ხალხი შეეჩვევა ტანის სისუფთავეს; აბანოს პატრონსაც გაუდიდება შემოსავალი და ხალხსაც გაუმარდება სხეული და მოემატება ჯან-მრთველობა.

სახლებისა და ბინების ჰიგიენის მხრივაც ბევრ რამის ვაკეთება შეუძლია ქალაქის მართველობას. იგი ვაცემს სახლის ასაგებათ ჰიგიენასთან შეთანხმებულ გეგმას, დაუშლის საშხარეულოსთან ფუნის-ალაგის აგებას და მის უწყსოთ მოწყობას, აღკრძალავს მიწაში გათხრილ და, მაშასადამე, სველ ოთახების გაქირავებას, დაავალდებს სახლის პატრონთ ეზოების გაწმენდას და სხ., და სხ. მისი მოღვაწეობა უნდა შეეხოს ფაბრიკების, ქარხნების და საზოგადოთ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა ჰიგიენურათ მოწყობას და მომართულობასაც. იგი უნდა ცდილობდეს ამაებში მომუშავე ხალხის ჯან-მრთველობის დაცვას და ძალ-ღონის დაზოგვას.

და რაც შეეხება სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ კონტროლს და თვალ-ყურის ჰერას, ამას ავალდებს ქალაქის გამგებებს კანონიც და მათი ადამიანური მოვალეობაც. საზოგადოებრივ კიდია მთელი ქალაქის ჯან-მრთველობა და კარგათ-ყოფენს ქალაქში აქ უნდა იყოს დაწესებული ძალიან საფუძვლიანი შინჯვა და თვალ-ყურის ჰერა. ფქვილი, კართოფილი, რძე, ხორცი, ერთი სიტყვით, ყოველგვარი საკვები მასალა უნდა იქნეს გაშინჯული და ღირსება-თვისების მხრივ გამოკვლეული. ყველაზე უფრო რთული და მნიშვნელოვანია ხორცის გაშინჯვის საქმე და ჩვენც აქ მხოლოდ ამასვე შევჩერდეთ.

ხორცის გაშინჯვის მოწყობა მტკიცეთ არის დაკავშირებული ქალაქის საყასბოს მოწყობა-მომართვასთან.

საყასბო ქეია ისეთ შენობას ან შენობებს, რომლებშიაც იმ ცხოველებს, რომელთ ხორციც ადამიანის საკვებათ იხმარება, კლავენ, ატყავებენ, მათ ფაშე-ნაწლევეებს რეცხენ, ხორცს —სისალისა თუ ჰირიანობის გამოსაკვლევეათ—შინჯვენ და შემდეგ რამდენიმე ხანს გაუფუჭებლათ ინახვენ.

საყასბო შეიძლება იყოს: ა) კერძო ან ბ) საზოგადო.

კერძო საყასბოები არსებობს იქ, საცა თითოეულ ყასაბს თავისი საყასბო აქვს. მაგალითათ, როცა ყასაბი თავისი დუქნის ეზოს ერთ კუთხეში საქონელს კლავს, ატყავებს და კეთავს, მას საკუთარი საყასბო აქვს, რომლითაც მხოლოდ იგი სარგებლობს. მართალია, ასეთ „საყასბოში“ თითქმის არავითარი მოწყობილობა არ მოიპოვება, მაგრამ რახან იქ საქონელი იკვლება, მას მაინც სახელათ საყასბო უნდა ეწოდოს. შეიძლება აგრეთვე ყასაბს ქალაქ გარეთაც ქონდეს მოწნული ან მოფიცრული ალაკი საქონლის დასაკვლევეათ. ესეც კერძო საყასბო იქნება.

სულ სხვაა საზოგადო საყასბო. საცა ასეთი საყასბო არსებობს, იქ თითოეული ყასაბი თავის საკუთარ საყასბოში კი არ კლავს საქონელს, არამედ ერთ ყველასათვის დანიშნულ ადგილას. ამ საყასბოთი ქალაქის ყველა ყასბები სარგებლობენ და ამიტომაც მას საზოგადო ეწოდება.

ქალაქის ჰიგიენის დასაცავათ აუცილებლათ საქიროა, რომ კერძო საყასბოები შოისპოს და მათ ნაცვლათ ერთი საზოგადო საყასბო იქნეს დაარსებული. ხორცის გაშინჯვა-გამოკვლევის საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუკეთესოთ მოწყობილ იქნეს. კერძო საყასბოები გაფანტულია და მათზე თვალ-ყურის ჰერა ძალიან ძნელი. ყასაბს ადვილათ შეუძლია დამალოს ზოგიერთ საქონლის ხორცი, რომელიც მას საექვოთ ეჩვენება, და არ უჩვენოს მართველობისაგან დანიშნულ ბეითალს, რომ ამით, თუ ვინიცობაა, ხორცი მართლა ჰირიანი გამოდგა, ზარალი არ ნახოს. საზოგადო საყასბოში კი ასეთი რამე შეუძლებელია. მთელი ქალაქისთვის საქირო საკლავი მხოლოდ აქ იკვლება. ეს არის, ასე ვთქვათ, ერთი დიდი აუზი, საიდანაც ქალაქის მცხოვრებთ თავის საკვები ხორცი მიუღიოთ. და, რა თქმა უნდა, ამ აუზში დაკლულ ხორცის გაშინჯვა და მისი თვისების გამოკვლევა ბევრათ უფრო ადვილია, ვინემ კერძო საყასბოებში.

საზოგადო საყასბოში და მასთან ავებულ ბაკში უნდა გაიშინჯოს არა თუ დაკლული ხორცი, არამედ ცოცხალი საქონელიც. ჰირიანი ან საექვოთ ცნობილი საქონელი ცალკე უნდა დაიკლას, რომ ჯან-საღს ჰირი არ გადაედვას.

დასასრულ, ვითარცა ქალაქის ჰიგიენის ნაწილი, უნდა მოგვეხსენებია საავათყოფოები და ავათყოფთა მრველის მოწყვს-რიგება, მაგრამ ეს წერილი ცოტა გავვიგრძელდა და ამისათვის ადგილი აქ აღარ გვრჩება.

სხვა-და-სხვა ამბები.

„კავკას“-ს წერენ ბათუმიდან: 4 მარტს, როტშილდის ქარხნის მუშებმა მუშაობა შეწყვეტეს, რადგანაც უარი უთხრეს იმათ ზოგიერთ მოთხოვნებებს დაკმაყოფილებაზე, რომელსაც არაერთი კანონიერი საფუძველი არ ქონდა; ამის გამო ქარხანა დაიხურა.

შემდეგ, 8 მარტს, ამ ქარხნის სამას მუშამდე შეგროვდა ბათუმის პოლიციის სამართველოსთან და მოთხოვა პოლიციას, გაენთავისუფლებიათ ის დაქვრილი მუშები, რომლებიც მეთაურობდნენ 4 მარტს ქარხანაში მუშაობის შეწყვეტას. როდესაც აღმინისტრაციამ უბრძანა მუშებს, წასულიყვნენ, ამ უკანასკნელთ უარი განაცხადეს, რის გამოც ყველა ისანი საპატრონიში გაგზავნეს.

მეორე დღეს, 9 მარტს, ქუბაში თავ-მოყრილ ხალხს უნდოდა გაენთავისუფლებია დაქვრილები; არაერთი თხოვნა-დარიგებას უარი არ ათხოვეს, რომ იმ ალაგს გაშორებოდნენ; და მიცვივდნენ ადგილობრივ გარნიზონის სალდათების როტას, რომელიც ამ შენობასთან იდგა უწყსოების ასაცილებლათ. საშინელი ქვის სროლა აუტეხა სალდათებს ხალხმა და ზოგიერთმა რევოლვერებიც დაკაღეს. სალდათები იძულებულნი შეიქნენ სროლა დაეწყათ ხალხისთვის. ჯარის-კაცთაგან დაქვრივნი ერთი, ხოლო ხალხთაგან მოკლულია ცამეტი.

დღეს, 17 მარტს, დანიშნულია თფილისის ღურგალთა ამხანაგობის „შრომის“ კრება;

10 მარტს ნაძალადევი აკურთხეს ახლათ აშენებული სასწავლებლის შენობა, რომელიც გახსნა ქ-ნმა ალექსანდრმა. გახსნისათანავე სკოლაში ჩაეწერა 26 ბავში. ამ სკოლაში მიიღებენ როგორც ქალებს, ისე ვალებს.

როგორც გადმოგვცეს, ქართლის ინტელიგენტ ქალთა ჯგუფს განუზრახავს დაარსოს ქართველ ქალთა ამხანაგობა „თამარ“. ამხანაგობას მიზნათ აქვს გაავრცელოს ადგილობრივად შინა-მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგი. თავდაპირველათ ამხანაგობა შეუდგება მეაბრეშუმეობის გაერკვლების საქმეს. დაურიგებს სოფლებს საუკეთესო აბრეშუმის გრენას (თესლს) და დახმარებას გაუწევს მათ ნაწარმოების (პარკების და სხვა) გასაღებაში.

ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა: გახსნას ქალაქის ხორციის ღუქანი, რომლისთვისაც გადადო 2,400 მან., გამართოს თივის საწყობი და საქონლის ბაქები ქალაქის საყასბოებთან, რომლისთვისაც გადადო 7,600 მან., ხოლო 10,000 მან. უნდა მოხმარდეს ქალაქს მოძრავ თანხათ. ამ ფულით უნდა იყიდონ ხოლმე საკლავი საქონელი და ქალაქში მოარეკონ.

ქალაქის თავის მოადგილემ თავი მოუყარა შესავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვას ამ წელში. ხარჯს უნდება 1,673,908 მან., შარშანდელ ხარჯზე 270,156 მეტი. კერძოთ ეს ხარჯი ასე იყოფა: ქალაქის თვით-მართველობის შენახვა დაჯდება 140,870 მან., (85 მან. მეტი შარშანდელზე), სამხედრო პირთათვის სახლების საქირაველათ — 130,824 მან. (2187 მ. მეტი), პოლიციის შესანახათ — 130,375 მანეთი (მეტი 4,020 მანეთით), ქალაქის მოსაწყობათ — 317,059 მან. (58,705 მანეთით მეტი შარშანდელზე), ქალაქის შენობათა შენახვა 238,554 მან. (3,800 მან. მეტი), სწავლა-განათლებლისათვის — 166,920 მ. (27,830 მ. მეტი), 122,929 მან. —

ქალაქის გასუფთავების, საბნითალო და საექიმო საქმეებისათვის, 353,323 მ. ვალების გასასტუმრებლათ (შარშანდელზე 117,873 მ. მეტი) და სხვა ხარჯები. საიდან მოსდევს ქალაქის საბქო ამ ხარჯებს, ჯერ არ იცნან, და ამის თაობაზე დადებები ექნება სხდომა.

რადგანაც უნივერსიტეტების სტუდენტთა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა კავკასიის დამხმარებელი საზოგადოების დამტკიცებული წესდება მიიღეს, ამის გამო ამ საზოგადოების დამფუძნებელთ დანიშნეს არტისტულ საზოგადოების დარბაზში სხდომა დღეს, 17 მარტს, საღამოს 8 საათზე. კრებას მიზნათა აქვს, მოილაპარაკოს იმ ზომებზე, რომლებიც საჭიროა, რომ საზოგადოება შეუდგეს საქმეს.

„ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, სათანადო მთავრობამ უკვე დაამტკიცა პროექტი სოხუმის და ახალსენაკის რკინის გზით შეერთების შესახებ. იმეგ მძიმე სიტუაციაშია და ამის შეწყვეტა უნდა მოხდეს.

ოსმალეთიდან გამოქვეყლ სომხების ერთ ნაწილს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რომ აღროგონ ოსმალეთში დაბრუნება; ხოლო მეტ ნაწილს რუსეთში დარჩენის სურვილი განუცხადებია და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება.

ბაქოს სადგურის უფროსის თანაშემწის მესხის მკვლელობა განაცხადა, რომ იმას, გარდა მესხისა, ექვსი სხვა კაცის მოკვლაც უნდოდა, რომლებიც არ დაასახელა. მკვლელი ჩერნიკოვი რკინის გზაზე მსახურებდა 16 წელიწადს; მკვლელობის ჩადენის მიზეზი იმისი სამსახურიდან დათხოვნა იყო, რაც მოხდა ერთომ მესხის წყალობით. გარდაცვალებული მესხი რკინის გზაზე მსახურებდა ათ წელიწადზე მეტს.

რადგანაც გადასასვლელი ეგზამენები გაუქმებულ იქნა, წელს თფილისის ყველა საშუალო სასწავლებლებში სწავლა გათავდება იენისის პირველ რიცხვებში. ამის გამო სამოსწავლო უწყებაში უკვე მოახდინეს განკარგულება.

მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი საზოგადოების გამგეობა იწვევს საზოგადოების წევრთ დაესწონ საზოგადო კრებას 25 ამ თვეს თფილისის სასამართლო პალატის შენობაში.

გასულ კვირას იღლესასწაულეს არტისტ ვ. აბაშიძის 25 წლის იუბილე. ხალხი ბლომათ დაესწრო დილით და საღამოსაც. შემოსავალიც საგრძობელია.

ქ. რიგის ვაზეთების ცნობით, დორპატის უნივერსიტეტში 25 თებერვალს გაკრულია რექტორის მიერ ხელ-მოწერილი განცხადება შემდეგი შინაარსისა: „ამით ვუცხადებ სტუდენტებს, რომ რიგის ოლქის მზრუნველის განკარგულებით, უნივერსიტეტში 25 თებერვლიდან ლექციების კითხვა და მეცადინეობა დროებით შეწყვეტილია“.

თფილისის გუბერნიის უფროსმა საფაბრიკო ინსპექტორმა მოთხოვა ყველა მეფაბრიკეებს და მექარხნეებს, რომ წარმოუდგინონ მას დაწერილებით ყველა ანგარიში: რა კეთდება ზავოდში თუ ქარხანაში; ვინა მუშაობს, ქალები თუ კაცები, მოზრდილნი თუ ბავში; რა ეძლევათ სამუშაო ფასი; ჯარიმებს ახდევინებენ და რამდენს და სხვა ყველაფერი. 15 მარტიდან, იწყებს მოქმედებას საფაბრიკო ინსპექცია.

გამოვიდა მესამე ნომერი ყოველთვიური საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“-ს.

„ჩერნომ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია:

„საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესიერების დარღვევის თავიდან ასაცილებლათ, საგუბერნიო დებულების მე-421 მუხლის თანახმად, საქართველო ვრაცხ გამოვცე შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ახალ-სენაკის, ქიათურისა და ონის მცხოვრებთათვის:

1) აკრძალულია ხალხის ყრილობა და კრება ზემოაღნიშნულ ქალაქ-დაბების ქუჩებზე და მოედნებზე სათათბიროთ და საზოგადო მშვიდობიანობის დამარღვეველი მოქმედებისათვის.

2) აკრძალულია ხსენებულ ადგილებში ქუჩებზე და მოედნებზე ყოველი შეჩერება და ყრილობა, რომელიც საქართველოთ არ არის გამოწვეული.

3) აკრძალულია ხსენებულ ადგილებში თავის მოყრა საყურებლათ, როდესაც ქუჩაში უწესოება-არეულობა დაიწყება.

4) შეგროვილი ხალხი ეალდებულება დაიშალოს პოლიციის 1-ლ მოთხოვნისთანავე.

5) აკრძალულია ყველასათვის პოლიციის განკარგულება-მოქმედებაში ჩარევა, როდესაც ის თავის მოვალეობას ასრულებს, და აგრეთვე პოლიციის მოქმედების საჯარო დაფასება და კრიტიკა.

ყველა, ვინც შენიშნული იქნება მშვიდობიანობისა და წესიერების დამარღვეველ მოქმედებაში, პოლიციის პირველსავე მოთხოვნაზე უნდა გაყვეს საპოლიციო დაწესებულებაში ჩვენების მისაცემათ და ნება არა აქვს იქვე ქუჩაში დაობა და უწყოს პოლიციელთ.

6) თუ ქუჩებში არეულობა დაიწყოს, პოლიციის პირველსავე მოთხოვნაზე დაკეტილ უნდა იქნას ყველა ალაყაფის კარები, მაღაზიები, ღუმელები, სარდაფები და საზოგადო ყველა სავაჭრო დაწესებულებანი.

7) ვინც ამ დადგენილებათ დარღვევს, საგუბერნიო დებულების მე-423 მუხლის თანახმად, პასუხის გებაში იქნება მიტყეული.

8) აგრეთვე პასუხის გებაში იქნებიან მიტყეულნი ისინიც, ვინც წააქეზებს სხვებს ამ დადგენილებათა დასარღვევათ.

9) ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შედიან გაზეთებში გამოცხადებიდან 14 დღის შემდეგ.

ქუთ. სამხედრო გუბერნატორი გენ.-მაიორი სმაგინი“.

კორესპონდენციები.

**დ. ლანჩხუთი.** შესამე წელიწადია, რაც აქ საქალბომ შკოლას დაარსდა. შკოლაში 150 მუტი მოსწავლეა და უავს სამი მასწავლებელი ქალი. წელს ენკენისთვიდან ჭრა-კერვის განყოფილებაც გაიხსნა, სადაც 70-მდე მოსწავლე სწავლობს განურჩევლათ წოდებისა და წოდებისა. ვერ-ჯერობით შკოლა მოთავსებულია სამ ნაქირავგვს სხლში. გასულ თვეში, საზოგადოებამ შეადგინა განახლები, რომ შკოლას საკუთარი შენობა აუშენოს. ეს განახლები უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა. შენობა იქნება თლილი ქვის, ორ-სართულიანი, ოთხი სკოლის ოთახით. ზირველათ ერთი სკოლის ოთახი იქნება მასწავლებლის ბინათ და, თუ სჭირდება მოითხოვს, ეს ოთახიც შკოლას დაეკუთმება. შენობისათვის გადადებულია 4000 მანეთამდე. საზოგადოების მიერ არჩეულია კომისია, რომელმაც უნდა აირჩიოს შკოლის ადგილი. იმედა, კომისია გაითვალისწინებს ყოველივეს და სიფრთხილით მოეპურება ადგილის შერჩევის გადაწყვეტას. კომისიამ ერთ კვირაში უნდა გადაწყვიტოს, თუ სად უნდა დაიდგას შენობა,

ასე რომ მომავალ ენკენისთვეში შკოლას საკუთარი მშენებელი შენობა ექნება.

რამდენიმე თვის წინეთ ლანჩხუთის მოგაზრებულნი ირწმუნებიან, რომ ლანჩხუთში დაარსებულია საზოგადო სასწორი. გუბერნატორმა ეს თხოვნა დააბრუნა უკან, რომ განახლები შეეადგინა არა მარტო მოგაზრებებს, არამედ მთელ საზოგადოებას და აგრეთვე აღენიშნათ განახლები, თუ რას მოხმარდება სასწორიდან შემოსული ფული. კვირას სხვათა შორის ეს კითხვაც უნდა გადაწყვიტოს საზოგადო ყრილობას. საზოგადოება სიამოვნებით დათანხმდა სასწორის ქონებაზე და შემოსავალი განაწილა სამათ. ერთი წილი საქალბომ შკოლას, ერთი—სამკითხველს და ერთი ბაზარს გასასუფთავებლათ და გასანათებლათ. ასე რომ დღეიდან ჩვენი ტანჯული სამკითხველთ თითქმის უზრუნველ უფიდილია, თუ სულ არა, ნახევარ ჯამაგირს საქალბომ შკოლის ერთი მასწავლებლისათვის შექნეს და აგრეთვე განათებაც გაუმჯობესდება.

წიარა.

**ს. ბახში.** ამ სფეელში გამოჩნდეს ორი ვითომ-და მასწავლებელი და გამოაცხადეს—ბუკვალტორის ვასწავლითა. გულ-უბრყვილო ბახველებმაც დაიჯერეს; იმათ მართლა გონიათ, რომ მათი შეილება ამ ვაჭ-ბატონების შემწეობით ბუკვალტორები გასდებიან და შემდეგ ბათუმში ან თფილისში ბახველებში ან შალაბიებში ორმოც-დაათ მანეთს მინც აიდებენა. მთელი „კურსის“ შესწავლა ას-ოცი მანათა (120 მ.). ბუკვს მიუბარებია შეილება და არ შურთ გაუიდან მიწები, ხარები ან ძროხები, რადგან კული იმედით სავსე აქვთ, რომ მათი შეილებიც ადრე თუ გვიან სულ დიდ სწავლას შეიძენენ. თფითონ ჩემ ბიძას მიუბარებინა შეილება, რისთვისაც ცხუნი გაუიდა და ბუკვრიც ისესხა მასწავლებლების დასაკმაყოფილებლათ. ახლა კი ჩემ ბიძაშეილს დაურსულებია კურსი—სფეელში იმუშაფოს თახის რცხეზნია (რადგან ნასწავლია) და ბათუმში გაიხლათ ამ დღეებში ქუჩების დასათვალიერებლათ. უსათუთ, რომ მოშივდება, ცუდ საქმესაც ჩაიდენს—ამისთანა მაგალითები ბუკვრია. მაგრამ ჩვენი მასწავლებლები მინც ანუკეშებენ ზოგ მამებს, ვუბნებიან თქვენ შეილს „კალიგრაფიული“ წერა დაწვეებით და იმელები კარგი გვაქვს, რომ კარგათ ისწავლისო.—მაშები ხალხში გაიძახიან: „ძამე!!! რადა გამნაზიაში ან სემინარიაში ვატარათ ჩვენი შუილები, სტავლა კარზე მოგვდგომია და ხუთას მანათის ადგილზე ორასიც რომ დამიჯდეს, აქ მიჩჩეზნია ეზოშიო“. მე კი ბუკვს ვუჩიე—ეს სწავლა ფუჭია და გამოუდეგარი-მუთქი; მაგრამ მიპასუხეს: „თუ ფინთი იუფს, გიგო და ნინო არ გაკვირბირდებოდაო“.

ჯერ არავინ გამოჩენილა ერთი, რომ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას. იმედა, აწი ყურადღება მინც მიექცევა ს. ბახვს.

მართაშვილი.

ძალაქის ვავლანა აღაფიანე ფიზიკური პირობების მხრივ.

გვიდგებს განაფხული, და უფველი ცოცხალი არსი იღვიძებს ზამთრის ძილისაგან; მხურავლე სხივების გაუფენით იფურჩქნება და ყვავის ხე, მიწას ეფარება მაფასის მწვანე ხავერდი, გამოძვრებიან სორთებიდან მხეცები და მათთან ერთათ დარბ-დატაკინც; სხვადასხვა ქვესენელის მცხოვრებნი, ამყოფენ თავს დეღამიწაზე, რომ ამოისუნთქონ სადი ჭყრით. სუსტი ფილტვების მქონენი ახლა სულ ოცნებობენ მუდრო სფელის სიტკბაობაზე. ახალი და მასთან ჯერ კიდევ სავმარის სითბოს მოკლებული ჭყარი მუტათ მძლავრ მოქმედებას იწვევს მათ ფილტვებში, ამოტომაც ამ გადამავალ დროსისინი ძალიან ცუდათ გრძობენ თავს; სისუსტე, თავბრუ, ქეშელა და ხველის გაძლიერება—აი რას შესწივან ჩვეულებრივათ ასეთი აფათ-მყოფები. უფველ სავათყოფთში ბუკვრია ასეთი აფათმყოფი და მათ შორის უმეტესათ ახალგაზდა მუშები. ჩვეულებრივათ ასეთ აფათ-მყოფს ეჭიმი უჩჩევის—წადი სფეელშიო. ეს მე რდება ყოველწლი-

ბით, და ექიმს დიდ უმრავლესობასთან ერთად გადაწყვეტილი აქვს, რომ ქალაქის განუზიარებელი არსებობის მხრივ კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ. ქალაქი, მათი წარმოდგენით, რაღაც ვეშბია, რომელიც მუდმივ ითხოვს სულ ახალ და ახალ მისხვერვებს. ვინც არ იღუპება არსებობისთვის ბრძოლაში, ის უსათუოდ განიწმინდება ხსენებრით და ფიზიკურად. ქალაქს უწოდებენ „გადაგვარებულთა უსანმაზარ ქარხანას“. მეცნიერნი ანგარიშობენ, რომ ქალაქის გამრავლებითი ძალა თანდათან სუსტდება და დღეს ძლიერად ის მუსხვი თანამდის, თითქო მოქალაქეთა ფიზიკური ტიპი თანდათან ეცემა. და ეგვლა ამას აწერენ ქალაქური ცხოვრების ზიარებებს, რომელთა შეცვლაში ჩვენ თითქო უძლეული ვართ. მართალია ეს? მართალია, რომ ქალაქი მუდმივ და აუცილებლად უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლის დამშლედი და გამწმენდი? ან ამ კითხვის შესახებ მსურს გამოვესაუბრო ჩვენ შეთანხვებულს.

ქალაქები რომ მეტად იზრდებიან, ამის წინააღმდეგ ვერაფერი ვერ იტყვიან რამეს. საკმარისია გადაათვალიეროთ ეს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს თუ რა დამოკიდებულება არსებობდა სხვადასხვა დროს შიდა სსრკ-ში მცხოვრებთა და მოქალაქეთა რაოდენობათა შორის.

წელიწადი	% მოქალაქეთა
1851	25
1896	39
1900	4
1900	13
1900	4
1900	36,3

1830 წელს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ ორი ქალაქი იყო ასეთი, სადაც ირიცხებოდა 125,000 მცხოვრები, დღეს კი ასეთ ქალაქებთან რიცხვი 26 ასეთი მაგალითები მრავალია. მრავალგვარი მიზეზები და მათში უმეტესად ეკონომიური თავის უფროს ადამიანებს ამა თუ იმ ცენტრში ფიზიკურ ზიარებებს, როგორც არიან ჭაფა; ნადავლის ნაიყურებ, მდინარეების სიმრავლე, ციებ-ცხელების არ-არსებობა და ბევრი სხვა უსათუოდ აქეთ თავისი გაფლანა, მარა მეტად მცირედა ეკონომიური ზიარებები არიან საფუძველი ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა მოქმედებისა და მათი ცივილიზაციისა. და რამდენიც დრო გადის, იმდენათ ადამიანი უფრო-და-უფრო თავისუფლდება ბუნების ძალების გავლენისაგან. კარგად მოწყობილი საზოგადოებას, რომელსაც აქვს ძლიერი შემავსებელი ძალა, სხვადასხვა ხელაფხურ საშუალებათა შექმნით შეუძლია აარსებოს ცხოვრებისათვის მეტად უხერხულ ადგილებშიც. რკინის გზაც ამ მხრით უფრო-და-უფრო აძლიერებს ამ შეგუების ძალას, რადგან ადარ აფიქრებს ადამიანს საზრდოს დამორებაზე. სამი მეოთხედი იმ ბურისა, რომელსაც ინგლისი ხმარობს, შემავსებელ სხვა ქვეყნებიდან.

განებრები და ემცინაფური მოთხრეზნილები იხილვენ ადამიანს ქალაქისაკენ, სადაც, შეიძლება, სულიც კეზუთებოდეს, ცხოვრებაც კიჭირდეს, მარა იმავე დროს ამ მისწრაფებათა დამაფიქრებელია მხოლოდ ქალაქში შეიძლება.

ამ მისწრაფებათა დაფასებას ჩვენ აქ ზრ შევუდგებით, მით უფრო რომ ქალაქისაკენ მიმხილველი ძალები მეტად ბევრია, ასე რომ მათი ჩამოთვლა-დაფასება ძნელია. აქ ეკონომიური სარგებლობა, ქალაქური ცხოვრების ტრადიციის და ხასიათი, რომელსაც უსათუოდ მრავალი უზიარებლობა აქვს საზოგადოებრივი, სოციალური მხრით მიერუბულ სოფელთან შედარებით, ერთი სიტუაციით, ურცხვი სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები თავისი ბუნებრივი აუცილებლობის ძალით წლიდან-წლამდე ერეკებთან ხაზს ქალაქისაკენ და ამით იწვევენ მის შეუჩერებელ ზრდას.

ზემთ აღნიშნული მოვლენა შეიძლება განვიხილოთ მთელი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში. წინააღმდეგობა ასეთი მოვლენისა, რომ ვინმე მოაწოდებს, შეუძლებელია. დაგვრჩენია მხოლოდ ვიფიქროთ იმაზე, რომ ადამიანი კარმხიულათ განვითარდეს ამ ზიარებებში.

ქალაქის ცხოვრება მართლა იცავს თავის გულში გადაცურებას, რომლის წინააღმდეგ ჩვენ უდონნი ვართ? ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ კაცობრიობის მომავალს მეტად ცუდს უნდა ვთვალობოდა. მას მოელოდა გამცხრება სახშირ-შეავეში, ქარხნობის-გაძლიერება, მტვერის და სენით სავსე ატმოსფეროში, რომელიც დღეს სავმათაა ჩვენ დიდ და მოწყობულ ქალაქებში. მარა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი ცუდი მხარე დღევანდელი ქალაქისა რაღაც ზღაბრულ, აუცილებელ ზიარებებზე კი არაა დამყარებული, არამედ ეს უნდა მიწეროს დღევანდელ სოციალურ წიარბილებას, უსამართლობით და სიდატაკით აღსავსეს. ამ მიზეზს ჩვენ ფარისეველსავით კი არ უნდა ვვარდით თვალი და კი არ უნდა გავიძინოდეთ, რომ არსებული უსამართლობა აუცილებელი არის. ღოთობა, სიდატაკე, გარყვნილობა, საროსკინა სხელები, სპურობილები, აეროლებული სარდალები მათი ბინადრებით და საზოგადოთ უფელავკარი სიცოცხლის მომხმობი ზიარებები უმეტესად ქალაქებში, რასაც ეფელთოვის ასე დაქინებით ასახელებენ,—უ თუ ეგვლაფერი ეს აუცილებელია და ქალაქების მუდმივ კუთხილებას შეადგენს? სეკვალა!.. ლიტერატურაში საზოგადოთ ჩვენ ბევრ ცხობებს შევხდით ქალაქური ცხოვრების ცუდ მხარეების შესახებ და ძლიან ცოტას სოფლის ზიარებებს ცუდ მხარეების შესახებ. Revue Hebdomadaire-ის იანვრის წიგნში მე შევხვდი ერთ სტატიას შემდეგი სთაურით: „აუცილებელია ქალაქებში გადაშენება“? სტატიის ავტორი ქალაქებზე კარგი შეხედულებიასა და სურადადობა ციფრებიც მოყავს თავის შეხედულების დასასბუთებლათ. ავტორი ამ სტატიასში უმთავრეს ურადლებას აქცევს მოქალაქეთა ფიზიკურ ტიპს, ამიტომ მისი ციფრები და ფაქტები შეეხება მოქალაქეთა სიმაღლეს, გამრავლებას, ქორწინებას, სიკვდილს, ავთმეფოფანობას და სხვა ამ ნაირ ფაქტორებს. სოფრანკეთისა, შვეიცარიისა, სკანონისა და ბადნში მოქალაქეები უფრო მაღალი არიან, ვიდრე სოფელელები. წინააღმდეგს ვხედავთ ინგლისსა, ბავარიასა და რუსეთში, მსმ, დასავლენის ავტორი, სიმაღლის გამოკვლევა არ გვადლებს საიმედო საფუძველს ფიზიკური ტიპის დასასოფსებლათ. ანატომიურ გამოკვლევათა საფუძველათ მიღებულია სიმაღლის დამოკიდებულება გულ-მკერდის წრესთან, ე. ი. თუ რამდენათ სიმაღლე მეტად გულ-მკერდის წრეზე. რამდენათ ეს დამოკიდებულება უახლოვდება ორს, იმდენათ ორგანიზმი სდათ ითვლება. ამ შემთხვევაში მოქალაქე ჩამორჩება სოფელელს. ავიდოთ საფუძველათ ფიზიოლოგიური ფაქტორები. ამ მხრით, ჩვენ ვხედავთ, რომ შვეიცარიასში ჯარში ახალი გაწვეული მოქალაქენი უფრო მძლავრნი არიან, ვიდრე სოფელელები—ეს ერთი. მეორე, სოფრანკეთში შემდეგი ფაქტი შენიშნეს 86—87 წლებში: იმ ოფლებმა, სადაც მოქალაქეთა რიცხვი უმეტესობაა (86—91%), ჯარში გაყვანის დროს მოგვცა ათასზე 31 უვარგისი, ხლო იმ ოფლებმა, სადაც უმეტესობა სოფლის მცხოვრებია, მოქალაქეთა % კი 1—54%, მოგვცა 33 უვარგისი კაცი ათასზე. თუმცა აქ ღანარაკია ხნოვანობის მხოლოდ ერთ საფეხურზე, ერთ ჯგუფზე, მარა მაინც ეს ფაქტი მეტად საგულისხმიერია. ის ნათლათ გვიჩვენებს, რომ სოფელშიაღ ძლიან ცუდათაა სქიმე, რომ სოფელშიაღ არაა ეგვლაფერი ისე კუთილათ მოწყობილი, როგორც ეს გონიათ ზოგიერთ სოფლის მოტრფილეთ.

სიკვდილის რაოდენობა ქალაქებში საზოგადოთ მეტია, ვიდრე სოფლებში, მარა აქ უნდა მივაქციოთ ურადლება შემდეგ გარემოებას: ქალაქებში ბავშების სკო წლამდე აურადხელი სიკვდილი შესამჩნევათ სწევს მომკვდართა საზოგადო ზრდენტს\*). თუ შევდგელობაში მივიდეთ ხნოვანებით დაჯგუფებას, მაშინ დავინახავთ, რომ ქალაქების და სოფლების ხნიერთა შორის ზრდენტული განსხვავება მომკვდართა რაოდენობაში გაცილებით ნაკლებია, 55 წლის და კიდევ მეტის ხნოვანების კი ქალაქებში გაცილებით უფრო ნაკლები

\*) სტატია Neumann-სა—Pauperismus und Kindersferblichkeit in Preussen. Zahrbücher für Nationaloekonomiest Dutte Folge. m. V, გვრ. 60.

ბედება, ვიდრე სოფელში. ბელგია სამრეწველო ქვეყანა, სადაც მცხოვრებნი მეტათ მჭიდროთ ცხოვრობენ, კვადრატულ მილზე 536 კაცი (უმადლესი სიმჭიდროვე მთელ ევროპაში)\*. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ქვეყანაში სიკვდილის ზრდენტი მეტათ დიდი იქნებოდა, მარა აქ სიკვდილის ზრდენტი სხვა ქვეყნებთან შედარებით უჭირავს მეტს ადგილი (21 კაცი ათას მცხოვრებზე) და გაცილებით ნაკლებია ევროპის დიდ სახელმწიფოთა სიკვდილისა, ინგლისის გარდა, სადაც კვება 19,1 ათასზე. გერმანიის ქალაქებში (იხილეთ მათი-სმიტი. *Статистика и социология*) ცოტა უფრო მეტია სიკვდილის ზრდენტი საშუალო რიცხვზე, მარა მცირედია ეს გადაშეტება. აი ციფრები ათასზე აღებული რამდენიმე ერთი-მეორეს მიმდევრად:

	1871—75	1875—80	1880—85
დიდ ქალაქებში . . .	31,5	25,5	27,5
მთელ იმპერიაში . . .	29,5	27,8	27,2

ქალაქებიც განსხვავდებიან ერთმანეთში: არის ქალაქები (კენისბერგი, ბრესლაული), სადაც სიკვდილის რაოდენობა დიდაა, 31—33 ათასზე, სხვებში კი ნაკლებია, როგორც, მაგ., ფრანკფურტში, სადაც 19,7. ბერლინშიც კი სიკვდილის რაოდენობა თითქმის უდრის საშუალო საიმპერიო რიცხვს 27,8—1890 წლის სტატისტიკით.

ამ ნაირათ თუ სიკვდილის რაოდენობა ქალაქში მეტია, ამის მიზეზი თვით სიმჭიდროვეში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ სხვა ამ მოვლენასთან თანმიმდევრულ გარემოებებში. სიკვდილის მარტო ავთოფობა ხომ არ იწვევს, არამედ ბევრი სხვა მიზეზებიც, რომელნიც გამწვევლია და შეერთებულია ქალაქის ცხოვრებასთან და რომელნიც არაფერ შემთხვევაში არ ეკუთვნიან ქალაქის ცხოვრების ფიზიკურ ზირობებს. სიცხეცხელისთვის საშიში მრეწველობის დარგნი, რომელნიც ნაკლებათ არიან შეზღუდული კანონით და სანიტარული ზომებით, იძლევიან შემთხვევით სიკვდილის და დასახინების დიდ ზრდენტი. ბავშვების დატოვება მშობლებისაგან, რომელნიც მიღის ქარხნებში სამუშაოთ და ამ ნაირათ შედეგებს უფურცლებათ სტრავებენ, იწვევს სიკვდილის დიდ ზრდენტი. ხშირია ქალაქში გამოხინობა, დაწვა, მდუღარით დათუთქვა, გაზის აფეთქება და ბევრი სხვა, რაც ბევრ შემთხვევით მისხვრბლს ითხოვს. ეტლების მიმოსვლა, რკინის გზით მოგზაურობა—ეფელაფერი ეს სიკვდილის ზრდენტი ძლიან სწევს და მასთან ერთათ არ წარმოადგენს აუცილებელ რამეს, თუ თვალყურის დევნება სხვა ნაირი იქნება და თუ აღაგმული იქნება ის დაუზოგველი მიზეზობა კანტაღისტიისაგან მუშის სიცხეცხელისა, რომელსაც ახლა ვხედავთ.

ამ ნაირათ სიკვდილის რაოდენობა ამ სიკვდილის მიზეზების განურჩევლათ არ გვადევს საბუთს, რომ ქალაქზე ვთქვათ, ის უკარგისია, როგორც ფიზიკური არეო. ჩვენ ვხედავთ, რომ უთვალავი ანორმალური სოციალური ზირობები მეტათ სწევს ქალაქში სიკვდილის რაოდენობას. რაკი ფიზიკური ზირობები გვჭვს მხედველობაში, კემპარტიკასთან გაცილებით უფრო ახლო ვიქნებით, თუ ზარალურათ განვიხილავთ ქალაქსა და სოფელში ავთ განთენის რაოდენობას; ამით ჩვენ დავინახავთ, თუ რა გავლენა აქვს ქალაქსა და სოფელს ჯანმრთელობაზე და აგრეთვე გადაშენებაზე, რაც ჩვენ აქ გვინტერესებს. ამ მხრით ჩვენ სტატისტიკა მეტათ მცირე ფიქტებს გვადევს შესადარებლათ, რადგან ქალაქში სხვა-და-სხვა ავთმყოფობის აღნუსხვა გაცილებით უფრო სწორია, ვიდრე სოფელში. ზოგიერთ ცნობებთან ჩანს, რომ  $\frac{1}{6}$  ავთ გამთართა (მხედველობაში ვიღებთ ავთმყოფობის ხანგრძლივობას) ქალაქში არაა მეტი, ვიდრე სოფელში 80 წლის ხნოვანობამდე, ხატარა ქალაქებში კი (3—60 ათას. მცხ.) ეს რიცხვი უფრო მცირეცაა, ვიდრე სოფელში.

\* ინგლისში—321 კაცი ერთ კვადრატულ მილზე, გერმანიაში—235, იტალიაში—272, საფრანგეთში—183, ავსტრო-უნგრეთში—171, შვეიცარიაში—186, დანიაში—148, ევროპის რუსეთში—49.

მაგრამ მაინც ეს ცნობები ჩვენი შეხედულებით არ არიან საჭიროსათ სანდო, თუმცა ჩვენი კითხვის გამოსარკვევათ ასევე გამოვიყენებთ დი მნიშვნელობა ექნებოდა.

გადავიდეთ დაბადებათა რაოდენობის გამოკვლევაზე სოფელსა და ქალაქში.

ინგლისში, სადაც ქალაქით მდიდარი ოლქები შედგებიან უმეტესათ მთა-მანუელობაზე მომუშავე და სამრეწველო ქალაქებისაგან, დაბადებულთა შედარებითი რაოდენობა მეტია, ვიდრე სოფელში. სხვა ქვეყნების შესახებ ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ჩვენ ვამხნევთ აგრეთვე საგრძობელ უსწორ-მასწორებას ერთ და იმავე ქალაქში სხვა-და-სხვა ზერიოდებში. მაგალითათ, დაბადებულთა რაოდენობა ფრანკფურტში 1861—64 წ. იყო 21,0, შემდეგ კი ოთხ ოთხ წლებათ 1884 წ. იყო 25,0, 29,0, 30,6, 34,3, 1880—84 კი—29,6. ეს რეევა გვიჩვენებს უკვე, რომ თვით ქალაქის ცხოვრებას კი არ აქვს გავლენა დაბადებულთა რაოდენობაზე. დაბადებულთა რიცხვი დამოკიდებულია მცხოვრებთა წლავანებითი შედეგნილობაზე, სახელდობრ იმ დედა-კაცთა რაოდენობაზე, რომელთაც მშობიარობა შეუძლიათ, იმ ქალთა რიცხვზე, რომელნიც მართლად დაქორწინებულნი არიან, და აგრეთვე ახალ დაქორწინებათა რაოდენობაზე. ამგვარათ ქალაქის ცხოვრების გავლენა დაბადებულთა რაოდენობაზე არ შეიძლება გამოვიყვანოთ საზოგადოთ დაბადებულთა რიცხვიდან. ექიმი ფარრი (*Farr., Vital Statistics*\*) დაბადებულთა რაოდენობის გამოსაკვლევათ საფუძვლათ იღებს არა მთელ მცხოვრებულთა რიცხვს, არამედ იმ ქალების რაოდენობას, რომელთაც შეუძლიათ მშობიარობა. ეს წესი მეტათ საფურცლებათ, მარა მისი გამოყენება ცნობების უქნალობის გამო ძნელდება. აი, ამიტომ ავტორის მიერ მოყვანილი ციფრები საფრანგეთის 1881 წ., სახელდობ, რომ დაბადებულთა რიცხვი სოფელში ამ ზერიოდში 24 უდრის 1000, ქალაქებში კი 26 ათასზე არ წარმოადგენს მაინც და მაინც დიდ საბუთს. რაც უნდა იყოს, ჩვენ არ გვაქვს ისეთი ცნობები, რომელნიც უჩვენებს დაბადებულთა სიმცირეს ქალაქებში, ამიტომ არ შეიძლება დავითანხმოთ იმათ, ვისაც ქალაქი მიაჩნიათ გამრავლების სამარეთ. მართალია, მუცლის წახდენა და მკვდარ ბავშვების დაბადება ქალაქებში უფრო ხშირია, მარა აქ ქალაქის ფიზიკური ზირობები არაფერ შუაშია. ამბობენ, თითქო ქალაქში გვარი ისმობადეს მესამე თაობაზე. ეს შემცდარი აზრია. ჰოლანდიელი *Kollbrun-გეცე* გვანობს რამდენიმე ოჯახის გენეოლოგიურ ტაბულას დანიასა და ჰოლანდიაში, სადაც კათოლიკისწინებულთა მოქალაქეები მეათე თაობამდე.

ამ ნაირათ მეცნიერული განხილვა და თეორიული ახალიზი იმ ცნობებისა, რომელნიც შეეხებიან მოქალაქეთა გამრავლებას, ავთ განხილვისა, სიკვდილის, ანატომიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებას, არ გვადევს ჩვენ საბუთს იმის დასმტიკებლათ, რომ ქალაქი, როგორც ფიზიკური არე, ხელს უწყობდეს გადაშენებას. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ქალაქების გავლენა, როგორც მჭიდრო დასახლებული ადგილების, რთულდება სხვა სოციალური და ეკონომიური ზირობებით და თუ ფრთხილათ გამოვაკრძოებთ ამ უკანასკნელ ზირობებს, იმ შემთხვევაში მცხოვრებთა სიმჭიდროვე არ იწვევს თავისთავათ გადაშენებას, ზემო დასახლებული ზირობების გაძლიერებას. მაგალითათ,—ბელგია, სადაც მცხოვრებლები მეტათ მჭიდროთ ცხოვრობენ, ხოლო სიკვდილის რაოდენობა კი მცირედია, გერმანია, რომლის ქალაქებში სიკვდილის რაოდენობა თითქმის არ აღემატება მთელი იმპერიის საშუალო რაოდენობას, 27,5 და 27,2—1885 წ. სტატისტიკური ცნობებით. ჩვენ ვუჩვენებთ აგრეთვე, რომ ქალაქის ცხოვრების განსაუთრებული ზირობები მეტათ აძლიერებს სიკვდილის რაოდენობას ჯერ ბავშვებთა შორის, რადგან მათ ვერ უფლანს, მერე დიდების შორის აუტანელი შრომის გამო, მუშის დაქნეულობის, უბედური შემთხვევების, ქარხნების და საზოგადების ანტიჰიგიენური მო-

\* მათი-სმიტი *Статистика и социология* გვ.95.



წებობის და მწარმოებელთა მცირედა ხასხის მკუთხობის გამო, სკრ-  
 თითი გაზრდის, რომ ქალაქი სიკვდილის რადენობა დიდია, მარა  
 აქ, როგორც ვთქვით, ქალაქი, როგორც თეზიკური არა, არაფერ  
 შუაშია, აქ მიხედავს სოციალური პირობები. ამიტომ მივიღებთ რა  
 შედეგობაში, რომ ქალაქი შეუჩერებელი იზრდება და ვფარდებთ,  
 ზენ კი არ უნდა დავამოკიდებდეთ იმით, რომ მიუთითათ სოფე-  
 ლსა, კურორტებსა და სანატორიებს დასვენების მძიებელთა დადღიფ  
 მუშებს, იმატომ რომ არც ერთი, არც მეორე და მესამე სწორათ მთ-  
 თვინ შესაძლავარა, არამედ ზენ უფლები დონისიებით უნდა ვვადლო;  
 რომ შევვალთ ქალაქის ცხოვრების პირობები და უფრო ჰიგიენურ-  
 რათ მივაწვიოთ ის. ხუ ვარადგომ თვალსაყრთ ხარამაღურ მღვამარე-  
 ბას. ვიდრე თუნდ ინგლისი: ვუკუბრთვლა ხუთ მილიონი მცხოვრე-  
 ბით გავსილი ღონდონში სიკვდილის რადენობა 1 1/2 ხაკლებია, ვი-  
 დრე საშუალო სიკვდილის რიცხვი რუსეთში. ზენ შევადიდა ბევრი  
 სხვა ფაქტიც მოვიყვანოთ, თუ როგორ ხანიტარული პირობების გაუ-  
 მჯობესება, ხელფასის მამატება, ქარხნების თვალუფრის დეენების  
 გაძლიერება და სხვა სოციალური ზომები ქალაქში სიმთუფეს აძლი-  
 ერებს. ამ ზომების შემწობით ლეიბციგში სიკვდილის რადენობა  
 20,0-დან 1000-ზე თათქმის ერთბაშთ ჩამოვიდა 12,01000-ზე.  
 ბერმინგამში სანიტარული ზომების განხორციელებათ განხორციელებამ  
 დასწია სიკვდილის რადენობა 27-დან 17-მდე (1874 და 1888).

აი, ასეთი მნიშვნელობა აქვს ცდას და შეცდინებებს ქალაქის  
 ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

ქალაქი.  
 მისი მნიშვნელობა მთელს ქალაქში და მისი მნიშვნელობა მთელს ქალაქში  
 მისი მნიშვნელობა მთელს ქალაქში და მისი მნიშვნელობა მთელს ქალაქში

**გ ა ჯ ა ზ ხ უ ლ ი.**

ტურთა ნავი ფერად დროშით  
 ზურბუხტ ტალღებ შორის სკურავს,  
 მოღის ზენკენ, მოისწრაფის,  
 ვით მიმინო, ფრთებსა სწურავს!

გაზაფხული! გაზაფხული!  
 აღბეჭდილა ია-ვარდით,  
 და მთის ცრემლი მოჩუხჩუხე  
 წინ უხვდება მას ნავარდით!

ტყე შეინძრა, ახმაურდა,  
 გადაიძრო ქმუნვის თექა,  
 მიესალმა პირველ სხივსა  
 და კოკორი შეაფეთქა!

ნიავე-კი—სანავარდო,  
 სააშკო დაჰქრის ველზე,  
 თითქოს, ცელქი იცინისო  
 და ხარხარებს ზამთრის ცრემლზე!

თან ღიღინებს: ფერად დროშით  
 ზენკენ მოღის გაზაფხული,  
 სხანს, ამოთ არ ატოკდა  
 იმედებით სავსე გული!

ვაშა, ვაშა, პირველ სხივებს  
 აგვირგვინებს ბედკრულთ გულსა,  
 ვაშა, ვაშა, პირველ მერცხალს  
 და ფრთა-მედგარ გაზაფხულსა!

ი. ველოშვილი.

**დ რ ს ბ მ ა ბ ი.**  
 მ. გორკისა.  
 (გაგრძელება.— იხ. № 11).

სინოტივე, სიმშვიდე და სიბნელი მეფობდა ტყით დაბუ-  
 რულ ღრმა ხევში. ამ სიჩუმეში გაისმოდა ნაკადულის ჩხრია-  
 ლი, თითქო შეჩივის ვისმეო. ხევის ძაღვს დაქინებულ ფერ-  
 დობიდან ძირს ჩამოკადებულსყვენ თხილის, ჯახველასი და ჩი-  
 ტა-ვაშლას გატიტვლებული ტოტები; მიწაში აქა-იქა უსიცო-  
 ცხლოთ თავები ამოეყოთ გაზაფხულის წყლისაგან გარეცხილ  
 ძირებს. ტყე კიდევ მკვდარი იყო; საღამოს ბინდი აორკეცებ-  
 და მის უსიცოცხლო ერთ-ფეროვნებას, ხოლო შიგ დამალუ-  
 ლი სასოწარკვეთილებრივი სიჩუმე ავსებდა მას სასაფლაო-  
 ბური დაღვრემილი და დღესასწაულებრივი მშვიდობიანობით.

მეგობრები დიდ-ხანს ისხდნენ ამ სიჩუმეში და ნოტიო  
 წყვლიადში, იფრთა ჯგუფ ქვეშ, რომლებიც ხევის ჰსკერში შე-  
 ყროდნენ უშველებელ მიწის ზეგას. პატარა კოცონი მხიარუ-  
 ლათ გიზგიზებდა მათ წინ, ისინი ითბობდნენ ხელებს, თან  
 ცოტ-ცოტაობით უმატებდნენ ჩინჩხარს და ცდილობდნენ ცეცხლს  
 კვამლი არ აეშვა. ცხენი მათ შორი-ახლო იდგა. მას ჩიჩვირ-  
 ზე შემოახვიეს მსასოებლის ძონძებიდან მოგლეჯილი სახელო  
 და სადავეთი მიაბეს ხის ტოტზე.

მსასოებელი ცეცხლთან ეკუნტა; დაფიქრებული მიჩერე-  
 ბოდა მას და თავის სიმღერის კილოს უსტვენდა; მის ამხანაგს  
 მოექრა ერთი პატარა კონა ტირიფის წნელი და კალათს  
 წნავდა; თავის საქმეში გართული, სდუმდა.

ნაკადულის სასოწარკვეთილი რაკრაკი და უკერძო ადა-  
 მიანის ნელი სტვენა ერთ ხმათ შეერთდნენ და საღამოსა და  
 ტყის დუმბილში საბრალოთ დაცურავდნენ; ხან-და-ხან ცეცხლში  
 შემის ტაკუნნი გაისმოდა, შემება ტაკუნობდნენ და შხიო-  
 დნენ, თითქო ოხრავდნენ და თანაუგრძნობდნენ იმ სიცოცხლეს,  
 რომელიც უფრო ნელია, ვიდრე მათი სიკვდილი ცეცხლზე,  
 და ამიტომ უფრო მტანჯველია.

— რა... ზენ ჩქარა წავალთ? — კითხა მსასოებელმა.

— ჯერ აღრეა კიდევ... სულ შემბინდდება და მაშინ წა-  
 ვალთ... ისე მიუგო იცეკვე-ფეხომ, რომ თავი მაღლა არ აუ-  
 ლია.

მსასოებელმა ამოიოხრა და დაახველა.

— შენ კი, გაითოშე, თუ რა არი? — დიდი ხნის სიჩუმის  
 შემდეგ კითხა მას ამხანაგმა.

— ა-არ... რალაც მოწყენით ვარ...

— ეჰ, შენ! — ჩაიქნია თავი იცეკვე-ფეხომ.

— გულს რადაცა მწოვს...

— ავთამყოფობა...

— ის უნდა იყოს... ან იქნებ, სხვა რამეა.

იცეკვე-ფეხო გაჩუმდა და თქვა:

— შენ ნუ ფიქრობ...

— რის შესახებ?

— ყველაფრის შესახებ...

— ხედავ შენ, — უცბათ გამოცოცხლდა მსასოებელი, —  
 არ შემძლია არ ვიფიქრო.

— ვუცქერი მე ამას, — მან ხელი ცხენისაკენ გაიქნია, —  
 ვუცქერი და მაგონდება, — მეც მყავდა ამისთანა... ქურანა იყო  
 იგი, ოჯახისა კი სწორეთ ბურჯი იყო! ერთ დროს მე წყვი-  
 ლიც კი მყავდა... იმ დროში მე ძალუმათ ვმუშაობდი!

— მერე, რა იზოვე მუშაობით? — მოკლეთ და ცრვით კი-  
 თხა იცეკვე-ფეხომ. — შენში ვგ არ მიყვარს... მომართავ ჩონ-  
 გურს და ოხრაგ... მერე რისთვის?

მსასოებელმა ერთი მუქა წვრილათ დამტვრეული წნელი  
 ჩუმათ ჩაყარა ცეცხლში და დაუწყო ცქერა, როგორ მიფრი-  
 ნავდნენ ნაპერწკლები მაღლა და ნოტიო ჰაერში ქრებოდნენ.



თვალეები მას ხშირათ უხამხამებდნ და პირისსახეზე სწრაფათ  
დარბოდნ ჩრდილები. შემდეგ მან თავი ცხენისკენ მიიღო და  
დიდხანს სინჯავდა მას.

ცხენი გაუნძრევლათ იდგა, თითქოს მიწაშია ჩაფლულიო;  
ძონძით შეკრული თავი ჩაქინდრა.

— მსჯელობა მარტივათ უნდა, — მკაცრათ და მთამგო-  
ნებელათ ამბობდა იცეკვე-ფეხო. — ჩვენი სიცოცხლე — დღე და  
ღამე — და გაფრინდა ერთი დღე-ღამე! საქმელი გაქვს — კარგია;  
არა — იწრუწუნე-იწრუწუნე და თავი ანებე. რადგან არაფე-  
რი გამოვა... შენ კი რომ დაიწყებ... საზიზღია სმენა. ეგ შენ  
ავათყოფობისაგან მოვდის...

— დიახ, ავათყოფობისაგან უნდა იყვეს... — ნელა დას-  
თანხმდა მსასოებელი; მაგრამ, სიჩუპის შემდეგ, დაუმატა: — შე-  
ნიძლება სუსტი გულისაგან იყვეს.

— გულიც ავათყოფობისაგან... — დაბტკიცებით განა-  
ცხადა იცეკვე-ფეხომ.

მან კბილით გაკენიტა წნელი, გაიქნია იგი, ზუზუნით გა-  
აპო ჰაერი და სასტიკათ თქვა:

— აი მე ტან-მრთელი ვარ — და იმგვარი არაფერი არ  
მაქვს.

ცხენმა ფეხი ინაცვლა; საღაც როკმა დაიჭაქუნა; ნაკა-  
დულში ხრიალით მიწა ჩაცვივდა და ახალი ხმები შეუერთა  
მის ნელ მელიოდის. შემდეგ საიდგანლაც ორმა ფრანველმა  
წამოიფთხრიალა და მოუსვენარი ხმაურობით გაფრინდნ ხევის  
გასწვრივ. მსასოებელმა შეხედა მათ და ნელა დაილაპარაკა:

— რა ფრინველები არიან ყენი? თუ შოშიები არიან —  
ისინი რას გააკეთებენ ტყეში... ისინი უფრო აღამიანის საღ-  
გომებს ეტანებიან.

— ეჰ, რა ფრინველებიც უნდა იყვენ!

— ეგ, ოღონდაც, — დათანხმდა მსასოებელი და მძიმეთ  
ამოიოხრა.

იცეკვე-ფეხოს მუშაობა სწრაფათ მიდიოდა წინ; მან უკვე  
დაწნა კალათის ძირი, ხელ-მარჯვეთ გამოყავდა გვერდებიც.  
იგი დანით ჭრიდა წნელებს, კბილებით კენეტდა მათ, კაკავე-  
და, ნასკვამდა, ხელებით სწრაფათ არჩევდა, თან ცხვირით ქში-  
ნავდა, უღვაშები აბურძენოდა.

მსასოებელი ხან მას მიჩერებოდა, ხან ცხენს, რომელიც  
თითქო თავ-ჩაქინდრული გაქვავებულაო, ხან ცას, რომელიც  
უკვე სიბნელეს მოეცვა, ხოლო ეარსკვლავები კი ჯერ არ ჩან-  
დნ.

— მოძენის გლეხი ცხენს, — უცბათ დაილაპარაკა მან  
უცნაური ხმით, — და მას კი ვერ ნახავს... აქეთ ეცემა, იქით  
ეცემა — არ არის ცხენი!

და მსასოებელმა ხელები გაიქნია. სახე მას სულელური  
ქონდა, თვალეები კი ისე ხშირათ ხამხამებდნ, თითქო რალაც  
კაშკაშა სინათლეს მიჩერებია, რომელმაც მის წინ უცბათ იფე-  
თქაო.

— ეგ რაზე თქვი შენა? — მკაცრათ კითხა იცეკვე-ფეხომ.

— ერთი ამბავი მომაგონდა მე... — დამნაშავესავით თქვა  
მსასოებელმა.

— როგორი?

— ჰო... ისე... ეგრეთის შემთხვევა იყო, რომ ცხენი შო-  
პარეს მიხეილას. მიხეილა ისეთი ზორბა ტანისა იყო, ნაყუავი-  
ლარი.

— მერე?

— მერე და მოპარეს... ანულებში მოვდა იგი და —  
უცბათ ცამ ჩაყლაპა. რომ გაიგო მიხეილამ, უცხენო დავრ-  
ჩიო, ზაპანით დაეცა მიწაზე და მორთო ღრიალი. ოჰ, ჩე-  
მო ძმობილო, როგორ დაიღრიალა მაშინ იმან!.. და დაეცა...  
თითქო ფეხები დააღწესო.

— მერე... დიდ-ხანს იყო ისე...  
— მერე, შენ რა...  
მსასოებელმა რომ ამბავის სასტიკი ტანხუ...  
უკან დაიხია და შეშინებულმა მიუგო:

— მე, ის... მომაგონდა... იმიტომ, რომ გლეხისთვის  
უცხენობა და ყელის გამოჭრა ერთია!

— აი, რას გეტყვი მე, შენ, — მკაცრათ დაიწყო იცეკვე-  
ფეხომ, თან მსასოებელს თვალ-მოუშორებლივ მიჩერებოდა, —  
შენ მაგას თავი დაანებე. მაგგვარი შენი ლაპარაკიდან ხეირი  
არ გამოვა... გავიგე? ეს მიხეილაო, ეს ისაო! შენი საქმე არ  
არის!

— მებრალემა, — მხრების ჩიჩით სიტყვა შეუბრუნა მსასო-  
ებელმა.

— გებრალემა? ნუ გეშინია, ჩვენ არავის არ გებრალე-  
ბით...

— მაგას რა თქმა უნდა!..

— ჰო, და გაჩუმდი... ჩვენ მალე კიდევ უნდა წავიდეთ.

— მალე?

— ჰო... მსასოებელმა მიიწია ნკოცონისკენ, გაქექა ჯოხით და, რა  
შეხედა ალმატრე იცეკვე-ფეხოს, რომელიც ხელ-ახლა გარ-  
თულიყო მუშაობაში, ნელა და ტხოვნის კილოთი თქვა:

— მოდი, უმჯობესი იქნება, მივანებოთ თავი მაგას...

— რა ფილდი ჯიში გაქვს! — შეწუხებით შეძახა იცეკვე-  
ფეხომ.

— ჰო, ღმერთმანი! — ნელა და ვედრებით ამბობდა მსა-  
სოებელი. — შენ მოიფიქრე, ხომ სახიფათოა! ხომ უნდა ოთხ  
ვერსამდე ვეთრიოთ მაგასთან... მერე, თათრებმაც რომ არ ი-  
ყვანონ? მაშინ რა?

— ეგ ჩემი საქმეა!

— როგორც გინდა! მხოლოდ უმჯობესია, რომ გავუ-  
შვათ ეგა... ეთრიოს თავისთვის... ხედავ, რა დამრჩელია!

იცეკვე-ფეხო გაჩუმდა, მხოლოდ მისი თითები უფრო ჩქა-  
რა მოძრაობდნ.

— რადენს მოგვეცემენ მაგაში... ვინიცობაა, რომ?... —  
ნელა, მაგრამ გაუდრეკლათ განაგრძობდა მსასოებელი. — ეხლა  
კი საუკეთესო დროა... ამ საათში დაბნელდება. წავსულიყა-  
ვით ჩვენ ხევის გასწვრივ და ღუბენკასთან გავსულიყავით...  
იქ შეიძლება ხელ-საყრელი დაგვეჭიროს რამე.

მსასოებლის ერთ-გვარი ხმით ლაპარაკი ნაკადულის ჩხრი-  
ალს შეერთებოდა, ხეში გაისმოდა და აბრაზებდა ბეჯით იცე-  
კვე-ფეხოს.

იგი კრიკა-შეკრული სდუმდა და გაგულისებული წნელებს  
ამტრეფდა.

— ახლა დიაცები ტილოებს ათეთრებენ...

ცხენმა ხე-მალლა ამოიოხრა და მიიწ-მოიწია. წყვდიადით  
მოცული იგი ეხლა უფრო მახინჯი და შესაბრალოსი შეიქნა.  
იცეკვე-ფეხომ შეხედა მას და კოცონში ჩააფურთხა...

— ეხლა შინაური ფრინველებიც კარში ყავთ... გუბეებ-  
ში — ბატები...

— მალე გამოგვლევა ეგ სიტყვები, ეშმაკო! — კითხა გა-  
ბოროტებულმა იცეკვე-ფეხომ.

— ღმერთმანი!.. გული ნუ მოგდის, სტეფანე-ჩემზე...  
მიუფლოთ ეგ ტყის ქაჯს! მართლა!

— ხეთქე რამე დღესა? — შეყვირა იცეკვე-ფეხომ.

— არ... — მიუგო, მისი ყვირილით შეშინებულმა, გაწბი-  
ლებულმა მსასოებელმა.

— ჰო, და ეშმაკა გზიდოს! ჩამოხში შენ ეგრე... მე კი  
რა მენაღვლება...

— მსასოებელია ჩემდა იცეკვე-ფეხო—მას ერთ ალაგას დაეგროვებია წნელები, ჰატარა კონათ კრავდა და გაბრაზებულია ქმინავდა. მის აბურანულ ულვაშებიან სახეს კოცონის გარდაცემული ნათელი ეცემოდა და იგი გაწითლებოდა.

მსასოებელი მიბრუნდა და ღრმით ამოიხარა.

— მე აკი ვითხარი, რა მენაღვლება, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი,—გაბოროტებით და ხრინწიანი ხმით დაილაპარაკა იცეკვე-ფეხომ.

— ეჰ! — ნელა გამოცხმაურა მსასოებელი.

— მხოლოდ მე შენ იმას გეუბნები, რომ შენ თუ ვერც გაცხარდი ხოლმე... მე შენი „ქმა-ბიკობა“ არ შევიძლია! კარგი, კმარა, გეყოფა! გიცნობ მე შენ... აი რა...

— ჰო, უნიაკი - ადამიანი...

— მეტი აღარაფერი!

მსასოებელი დაიგრიხა და დაახველა; ხველამ რომ გადაუარა, მძიმე სუნთქვით, თქვა.

— მე უფრო რათ ვამბობ, იცი? იმიტომ, რომ სახითათა მავასთან...

— კარგი! — შეყვირა გაჯავრებულმა იცეკვე-ფეხომ.

მან აიღო წნელები, გაღივლა მხარზე, იღლიაში დაუშთაგრებელი კალათი ამოიჩარა და ზეზე წამოადგა.

მსასოებელიც ადგა, შეხედა ამხანაგს და ნელი ნაბიჯით ცხენისკენ წავიდა.

— მწ... წ... წ... ნუ გეშინიან! — გაისმა ხევში მისი ყრუ ხმა.

— მწ... მწ... შესდექ!.. ჰა, წადი შენთვის... აი, წადი... ჰაჰა, სულელყო!

იცეკვე-ფეხო შეცქეროდა, როგორც კოდილოზდა ცხენის ახლო მისი ამხანაგი, როგორ უხსნიდა ჩიჩიბრზე ჩეარს და ამ ცქერის დროს სასტიკი ქურდის ულვაშები თრთოდენ.

— წამოდი, რაღა! — თქვა მან და გასწია წინ.

— მოვდივარ, — მიუჯო მსასოებელმა.

ისინი ბუჩქებში დაძვრებოდნენ და მთლიან წყვედიადით საგსე ხევის გასწვრივ მიდიოდნენ.

ცხენიც მათ უკან გაყვა.

შემდეგ მათ უკან წყლის შხაპური გაისმა, რომელიმაც ნაკადულის მელიოდია დაახშო.

ვანო გიუნაშვილი.

(დასასრული იქნება)

**უცხოელი სტუდენტები გერმანიაში.**

ერთ ჩემ წინა წერილში მკითხველს დავხიროდი გერმანიაში უცხოელ სტუდენტებზე მოლაპარაკებას. რადგანაც ამ წერილზე მინდა შევაჩერო ჩემი მოსწავლე ახალ-გაზდობის უურადლება განსაკუთრებით, ამისთვის ჩემი დახირობის ასრულება საუკეთესოთა მიმართა ესეა, როდესაც იგი სულ მოკლე ხანში ტრავებს სასწავლებელს. თუმცა-და უმეტესათ მიუხედავად მყოფ უცხოელ სტუდენტებზე ვიღაცა-რაკებ ამ წერილში, მარა ეტევე ითქმის ეგვლა უცხოელებზე გერმანიაში და ამით მართლდება ამ წერილის სათაური.

ქვანდადი დრო გერმანიაში ის დროა, როდესაც ზოგიერთმა აქაურ უმაღლეს სასწავლებელმა უკვე დაუკეტა კარი უცხოელებს და ზოგიც ესეა ადგია ამ უკან. წინა წერილშივე გავერთ ვაგონებე მკითხველს, რომ თვით გერმანულ სტუდენტებში იყო მოძრაობა უცხოელების წინააღმდეგ. ამ დღეებში კიდევ იქმნა წადგომული ნაბიჯი ამ უკან; აქაური ზოლიტენიკუმის სტუდენტთა კრებამ თავის სხდომაზე შეიმუშავა დირექტორისთვის წარსადგენათ შემდეგი წინადადება: „მოეთხოვოს ეგვლა ზოლიტენიკუმში შემსვლელს გერმანიის საშუალო სასწავლებლის მოწმობა (ატტესტატი), ან და დაინიშნოს ეგვლასთვის განუჩვევლათ მისადები ეგზამენები“. ამ წი-

ნადადების მიხედვით ნაწილი ესეა განსაკუთრებით უცხოელებს, რადგანაც გერმანელებს ისედაც აქვთ მოწმობა; მეორეთი კი იკინი იქნენ ვითომ-და მოუდგამლობას, რადგანაც თვითონაც უცხოელებს ან იმავე განიანს—მისადებ გამოცნას. მარა ეს უკანასკნელი მათვის იმდენათ სავარაუდო არ არის, რამდენათ შეუძლებელია სოფლისთვის ენის უცოდინრობის გამო.

უცხოელ ქალებს გერმანიის უნივერსიტეტი ხომ სულ არ უღობს. უნივერსიტეტების უმრავლესობამ უკვე დაადგინა მიიღოს მატრიკის რუსის ქალები, რომელთაც გიმნაზიის 8—9 კლასის კურსი დაუშთაგრებიათ და არა შეიძლება, როგორც აქამდე იყო. მარა ასე მატრიკა ქადადღეს, რადგანაც ნამდვილათ სულ არ იღებენ ღია მათ. მიუხედავად უნივერსიტეტს ამ მხრით ეგვლასე მეტი უმართლობა ჩადინა: თავისი ახალი განიანის ძალა გაავრცელა იმავედ, ვინც აქამდე ირიცხებოდა უნივერსიტეტში და იძულებული იქნა დაეტოვებია მას იგი. საზოგადოთ ამგვარი საქციელი მეტათ უმართლთა, რადგანაც ეგვლელ სასწავლებელში, თუ ის მთლიან ბარდოსული არ არის, ახალი განიანის ძალა მაშინ ვრცელდება წასუღ (უკვე დაკანონებულ მოფლენასზე), თუ ის რაიმე შედგასთ უქადის და თუ ის წინანდელზე უფრო ავიწროებს, არასოდეს. კერძოთ უხეხის უნივერსიტეტს ეს არ მიეტყვება, რადგანაც ის ითვლეთ საუკეთესოთაგანათ გერმანიაში.

მკითხველს, რა თქმა უნდა, სურს ვაიგოს ამ მოძრაობის მომწვევი მიზეზები. შესადლებელია, მან უცხოელის (ურეგო) ეოქტეკით დააბიროს ამის ახსნა. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ადვინიშო რომ უცხოელებს აქ არავითარი დანამაული არ მიუძღვის, თუ და მათათ არ ჩავთვლით მათ უარათობას სწავლაში ეგვლელი დაბკალების\*) მიუხედავათ და თავანთანობას თავის გერმანულ ამხანაგთან.

ამ წერილშივე მოყვანილ მაგალითიდან მკითხველი დაინახავს, რომ ეს მოძრაობა დაიბადა აქაურ სტუდენტებში და სტუდენტებში ნაწილში, რომელისთვისაც მთელ ქვეყანასზე მატრიკა გერმანიაში გერმანელია; სტუდენტობის დიდი უმრავლესობა კი, როგორც მთხველმაც იცის, ამგვარია. ის ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რ უცხოელთა რიცხვი აქაურ სასწავლებლებში ეგვლელ წლობით მატლობს, მის სემესს მეტათ აღიზიანებს უცხო ესა, რომელიც მას ეგვლ ნაბიჯზე ესმის აუდიტორიაში და მისი მიზანია ბოლო მდლოს ამ მოფლენას. სამწუხაროთ ამ თავის მიზანს ის, თუმცა-ნელ-ნელა, მარა ახარციელებს მანც.

მივაქტეკთ რა მკითხველის უურადლებას ამ საკლუდეკანებას ჩვენ სრულებით არ უარეყოფთ იმ სამსახურს, რომელსაც გერმანის უმაღლესი სასწავლებლები უწევენ უცხოელებს. ამის დასამტეკებლათ სავარა ისეგ ეს მაგალითი, რომელიც სხოლიოშია მოყვანილი: უადგილობის გამოყოფა, ისინი უარს არ ელაპარაკებან უცხოელებთ თუმცა-და ეს მეტათ ზატეგ-სადები იქნებოდა \*) მიუხედავათ ამ მოძრაობის უცხოელების წინააღმდეგ, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვყოფთ, რომ მისი მიზნის განხორციელება ერთ და იმავე დროს ეგვლგან შეუძლებელია და რომ კიდევ დიდ-ხან დარჩება მოძრაობა მოძრაობათ. ამის გამო ჩვენ მოვიწვევთ ჩვენ მოსწავლე თაბა რომ ისარკებდოს, სხანმ შესადლებელია, უფლებებით და ვისაც გუფში კი გაუფლია საზღვარ-გარეთ წამოსვლა, ნუ დაიგვიანებს. ის დაიავიწებს, რომ არც ერთ სამითა აკადემიას და ზოლიტენიკუმ (ტარდა შარლოტენბურგის) არ დაუხურნეს კარი უცხოელისთვის, მი

\*) აუდიტორიაში დანომრილი ადგილები ეძლევა ვერ გერმანიის მკვიდრთ და მერე უცხოელთ; რადგანაც თავიანთი სტუდენტები სავარაუდო ამისთვის ადგილი თავისუფალი აღარ რჩება და უცხოელთ ლექციის კონფის დროს იძულებულია მუდამ ფეხზე იდგეს გასაკლელ ადგილებში (проходь).

\*\*) აქუნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნიადაგზე მოძრაობამ უკვე იყო შემცირება; იქაური სტუდენტობა ჩივის, რომ რუსებმა ლამის არის ჩვე სამშობლოდან გადაგდენონო. ქალებს, განზრახულია იქ, მოთხოვონ ან 8 კლასის კურსის ლათინური ცოდნა.



უმეტეს უნივერსიტეტს; მან იქონიოს სხეში, რომ ცხოვრება გერმანიის ქალაქებში, თუნდა ბერლინშიაც, მეტი არ არის, ვიდრე რომელიმე ჩვენს უნივერსიტეტო ქალაქში, თუ არისტოკრატიულ ცხოვრებას არ გავსდევთ, რასაკვირველია, ის ერთ წუთსაც არ ჩაიფრებს ენის უცოდინარობაში, რადგანაც სასწავლებელში შესვლისთვის ენის ცოდნის ვალდებულება სრულყოფით არ არის საჭირო.

სხვა უნივერსიტეტებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ენის ადვილათ შესწავლამ და აქურ მრავალ-ფეროვანმა ცხოვრებამ კი უნდა მიიზიდოს ჩვენი ხალკაცობა.

ყოველწლიურ დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველს შეუძლია მიმართოს შემდეგი ადრესით: „München (გერმანია) Russischer Studenten Lese-Verein. Hiltensbergerstr. 7. для списочного бюро.

3. კ — ნი.

### ს ა ს ლ ვ ა რ გ ა რ ე თ .

**ინგლისი.** როგორც ნაუწიები გვქონდა, ბურებმა განთავისუფლეს ინგლისელების დატყვევებული გენერალი მეტუენი. ამის გამო ინგლისის ვეჟა გაზეთები თითქმის ერთ-ხმით გამოთქამენ იმ აზრს, რომ ბურებმა ინგლისელებს გადასჯარბეს კეთილ-შობილებაში და ინგლისელებიც მფაღენი არიან გადაუხადონ ბურებს მით, რომ დაუბრუნონ მათ ერთ-ერთი დატყვევებული გენერალი: ან კრანიე, ან ვილიენი.

როგორ მოექცევა ინგლისის მთავრობა, ეს ჯერ არა ჩანს, ხოლო ბურების უკანასკნელმა გამარჯვებამ რომ დიდი საჩუქრება მოუტანს ირლანდიას, ამაში კი ეჭვი არ არის. სწორეთ იმ დროს, როდესაც მინისტრთა რეკავსე უნდა გადაეწვიტათ, რომ ირლანდიაში შემოედოთ განსაკუთრებული კანონები, ადევრდალათ მიტინგები და სხვა, ინგლისში მფაღა ამავე მეტუენის დამარცხებისა. ამან ძლიერ დააფიქრა ინგლისის მთავრობა, რადგან შესაძლებელი იქნება, რომ ირლანდიაშიაც ხალმა კანონებმა ინგლისის საბრძოლველათ გაიწვიოს.

ირლანდიელ ნაციონალისტთა ლიდერმა რედმონდმა ილაზარაკა იმის შესახებ, რომ სტატისტიკური ცნობებით ირლანდიაში შედარებით უფრო ნაკლები ბროტ-მოქმედება ხდება, ვიდრე ინგლისშია, მიუხედავად ამისა, ირლანდიაში მეტათ გამრავლებულია ზოლიციელთა რაზმები და მასთან მეტათ მკაცრ ზომებსაც ხმარობენ. ზოლიციელს შეუძლიან ადრდალს კრებები, თუ მას არ მოეწონს კრებაზე წარმოთქმული აზრი. აქ ძალა-უნებურათ გუბდება კითხვა, რათა ხმარობს მთავრობა ირლანდიისთვის ამისთანა მკაცრ ზომებს? ირლანდიელ დემუტატებს მხარი დაუჭირეს ამ კითხვაში ინგლისის ლიბერალთა დასმა და აკრარების ახალ პარტიის ლიდერმა რუსსელმა.

ამ ჟამათ ინგლისის საზოგადოების ურადლებას იბერობს აგრეთვე ლორდ უოლსლეის სამხრეთ-აფრიკაში წასვლა. საქმე იმაშია, რომ ლორდ უოლსლეი გაემკზავრა ბრძოლის ველისაკენ, სწორეთ მეტუენის დამარცხების შემდეგ. ფიქრობენ, რომ ის გაგზავნილია იქ მეფის სურვილით, რომ ლაზარაკა ადრდას ბურებთან შერიკების შესახებ.

**ოსმალეთი.** ამ ჟამათ ოსმალეთში ტერორია აღმართული. იჭერენ ვეჟას, ვისაც კი სულთანის გაიძვრა მონელები და ჯაშუ-შები დასწამებენ ტახტისადმი მტრობას. ტახტის მტრები თურმე თვით ჯარშიაც ბერი ამოხეილან. დატყვევებით უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში 146 ოფიცერი. ამათში ხუთი დივიზიის უფროსია. სამხედრო მინისტრის დეკრეტით ოფიცრებს ადევრდალათ ევროპულ კლუბებში შესვლა.

თუ ეს სოფელთა დაშვადევა და დევანდელი ტერორი კიდევ დიდ-ხანს გაგრძელდა, დასძინს გაზ. „Ber. Tag.“-ის კარუსობანდენტი, მადე ოსმალეთში აღარ დარჩება აღარც ერთი ნიჭიერი

ოფიცერი და სახელმწიფოს კაცია, მადე ვეჟას ან ციხეში შემავადევენ, ან დაკარგვენ უკვალთათ.

**ბალზია.** ზალატა შეუდგა საარჩენია კითხვების განხილვას. პრინციპალური კითხვა, მიუხედავად თუ არა ქალბსაც თანასწორი საარჩენია უფლება მამა-კაცებთან ერთათ—უარყოფილ იქმნა 56 ხმით წინააღმდეგ 24-სა. 58 კლერიკალებმა არ მიიღეს კენჭის ერაში მონაწილეობა. არ მიიღო მათთან მონაწილეობა აგრეთვე მინისტრ-პრეზიდენტმაც, რომელმაც განაცხადა, რომ თუმცა ის წინააღმდეგია ქალბის ზოლიციურ ემანსიპაციისა, მაგრამ არ უნდა, რომ შემდეგისათვის შეიზღუდოს თავისუფლათ აზრის გამოთქმა. ამ წინააღმდეგის წინააღმდეგნი იუვენ ლიბერალებიც და ზოგიერთი სოციალისტებიც. კითხვა იმის შესახებ, რომ საარჩენია უფლება მიეცეთ ოც-და-ორი წლის წლოვანებიდან და სახეგარი წლის შემდეგ ადგილობრივ დაშვიდრების საცხოვრებლათ აგრეთვე უარყოფილ იქმნა 92 ხმით წინააღმდეგ 45-სა.

შემდეგ ამის ვანდერველემ ზალატაში ადრდა წინადადება შესახებ კონსტიტუციის კანონების გადასინჯვისა და პარლამენტის არჩენებისა. სოციალისტთა დემუტატები ამ წინადადებას მიეგებენ კი-ყინით: „გაუმარჯოს საყოველთაო არჩენების უფლებას!“

**სამხრეთ-აფრიკა.** კიტჩენერი იუწიება პრეტორიიდან 11 მარტს: უკანასკნელი კვირის განმავლობაში მოკლულია ხუთი ბური. ტევეთ წაყვანილი 95 და დავებდენ 63; სამი ზარბასანი ეიბო-ვეთ. კაპის ახალშენის შუა-გულში მტრის რაზმი იმყოფება, ორსი კაცისკან შემდგარი. დასაფლეთით წვრილი რაზმები, რომელთაც ჩრდილოეთით სდევნიან, გავწხებენ. დიდი რაზმები პატარ-პატარებათ დაიფო. „დეილ ხრანი.“ მოუვიდა ამავე, რომ მოლანარაკების დროს ინგლისის ჯარები დევეტსა, დეღარეის და ბოტას წინააღმდეგ მოქმედებას შეწყვეტენ, ვიდრე ეს სამი სახდალი ბურების მორიგებას დაიცავენ, სანამ ბურების დევეტები ჯარებთან დაბრუნდებიან. „დეილ მაილ“ ამბობს, რომ, პირ-იქით, მორიგებაზე სრულიათაც არა ფიქრობენ და დეღარეის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ.

**ბერმანია.** როგორც ვიცით, გერმანიის მთავრობამ ამ ბოლო დროს იერიში მიიტანა ზოლიციელთა სასწავლებლებზე. მისი მოქმედება ისე აქეზებს გერმანელ მასწავლებლებს, რომ თვალწინ საზო-ზღარი სურათები გეშლება, როცა კითხულობ ამ თუ იმ სასწავლებლის სასამართლოში გადატანილ და გამოქვეყნებულ ამბებს. აი ერთი ამ მაგალითთაგანი: ბრუსიის ზოლიციეთის დ. ორფანავის საზოგადოების მამასახლისმა უჩივლა ამ საზოგადოების მასწავლებელს და ბრალს სდებდა მოწაფეების უდივრათ მოზერობაში. მოულოდნელი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება. მამასახლისის საჩივარი გაკეზავნა სამეფო პროკურორს, რომელმაც უჩივლა მამასახლისისაკე ცილის წამებისთვის ბრუსიელ მასწავლებელზე. სასამართლოში მასწავლებელმა განაცხადა, რომ მე არა დროს საზღვარს არ გადავიდიდი მოწაფეების მოზერობაში. მართალია, ზოგჯერ ვცემდი ხოლმე მათ ჯონით ცხვირში, რის შემდეგაც სისხლი დასდიოდათ. მე სასწავლებელში 167 მოწაფე მყავს და ეს სავმარისია ჩემის ნერვების აშლილობის დასამტკიცებლათ, და მეც ვცემდი მათ მუშტით, ხან დაფით თავში, თქვა პრეციდენტულმა მასწავლებელმა.

ერთმა მოწაფე ქალთაგანმა განაცხადა სასამართლოში, რომ მასწავლებელმა დაკრა მას მუშტი თორმეტჯერ, ის ისე ავთ შეიქნა, რომ ორი დღე ლოჯინში იწვა. მეორე მოწაფეს მასწავლებელმა მუშტით ორი კბილი ჩამიტვრია. ველა ამ საბუთების შემდეგ მასწავლებელი სასამართლომ გაამართლა.

### რუსეთის ცხოვრება.

„მთავრობის უწიებაში“ და „სავაჭრო-სამრეწველო კავთ“-ში დაბეჭდილია თინანსთა სამინისტროსკან შემდეგი: „თინანსთა სამინისტროსკან, წასულ წლის იანვრის 16-ში თანხმად მინისტრთა რევის დადგენილების იმავე იანვრის 10-ში, მიეტა წინადადება კი-



ვეის აღქმასდრე შეიძინა ზღაპრულიაგუმი და რჩევას, „რომ, თუ ამბობენ ასე დასაძინათ, ან თუ ამბობენ მისასაძინათ სავსი იქნება დაიხუროს ინსტიტუტი, მაშინ დაკარგული დრო სამოსწავლო წლისა და ეგზამენების შეკრებულ იქნება სავსივით დასრულებული. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუტი დაიხურა სამი კვირით, მაშინ ეგზამენები სრულათ არ მოხდება და სტუდენტები უფროსის და მეორე კურსისა დაჩვენებან იმავე კურსებზე. ზირველი კურსის სტუდენტები დათხოვნილ იქნებიან სრულათ და მიიღებიან ხელახლა იმავე წესით, როგორც არის დადგენილი ახლათ მისაღებ სტუდენტებისთვის“. შემდგომათ ამისა, ფინანსთა მინისტრმა, რათა აცდინა სტუდენტებისთვის არა სავსივით შედგეი, 26 თებერვლს ტელეგრაფით მისცა წინადადება ინსტიტუტის დირექტორს, რომ მას გამოეცხადებია სტუდენტებისთვის არ მიეღოთ მონაწილეობა არეულობაში, რომელსაც მოუყვებდა არა სავსივით შედგეი სამწახროთ დირექტორისა და პროფესორებისა, და რომელიც არ შეესაბამება ინსტიტუტის დირექტორს. ამასთანავე, გამოთქამდა რა მინისტრი სრულ ხდობას დირექტორისა და პროფესორებისადმი, თხზავდა ინსტიტუტის მთავრობას ექნათ გავლენა სტუდენტებზე და გადაეცათ მათთვის, რომ ვინცდაა მათ არეულობა მოახდინეს, მინისტრი იძულებული იქნება დასაჯოს ისინი თანხმად 12 თებერვლის დადგენილების ბ. მინისტრთა რჩევის მიერ. ხოლო 12 თებერვლს ფინანსთა მინისტრმა მიიღო რა ცნობა, რომ ინსტიტუტი დახურულია სამი კვირის განმავლობაში, კვლავ მიმართა დირექტორს, ერხა სტუდენტებისთვის დაბრუნებდენ სწავლას, ვინაიდან ინსტიტუტის დაარსებდან სტუდენტებს არ ქონდათ არავითარი მიზეზი უფადი-ვეენ უკმაყოფილო ინსტიტუტის შინაგან წესრიგისა და პროფესორებისა. მაგრამ ვერც ამ რჩევამ იქნია გავლენა სტუდენტებზე, და ისინი არ დაბრუნდენ სწავლას გაგრძობას, ამის შემდეგ ძალაში უნდა შესულიყო 12 თებერვლის დადგენილება, მაგრამ დადგანინსტიტუტის მთავრობამ იშუამდგომლა მინისტრში და გამოთქა იმედი, რომ სტუდენტები განაგრძობენ ლექციების მოსმენას დიდ მარხვის ზირველ კვირიდან, როდესაც შეწყვეტილია სწავლა კვირის ყველა სავსივითებებში, ამიტომ მინისტრმა სწავლის დაწყების უკანასკნელ ვადათ გამოაცხადა 5 მარტი. მიღებულ ცნობებით აღმოჩნდა, რომ სტუდენტებმა არ განაგრძეს სწავლა არც ამ ვადიდან. ამიტომ ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ინსტიტუტი დაიხურა სამოსწავლო წლის ბოლომდე შემდეგი განხილვით: უკანასკნელი რივი კურსის სტუდენტები დაჩვენებან იქნენ იმავე კურსებზე შემდეგ სამოსწავლო წელში და ზირველი კურსის სტუდენტები დათხოვნილ იქნენ სრულათ ინსტიტუტიდან, ხოლო მათ ეძლევათ ნება დაიჭიროს სკოლაგურსა ეგზამენი მომავალ წელს ახლათ მისაღებ სტუდენტებთან ერთად. სტუდენტების სასახლათ უნდა ითქვას, რომ სწავლის შეწყვეტის დროს მათ არ დაურღვევიათ წესრიგი ინსტიტუტში და პაცივით ექცეოდენ პროფესორებს, რომელნიც თავის მხრივ ცდილობდენ ექნათ ჯეროვანი გავლენა სტუდენტებზე. ამისთანა განწყობილების შემდეგ და მთავრობის მხრუხველობისა ინსტიტუტზე, სტუდენტებს არ ქონდათ არავითარი მიზეზი მიუღოთ მონაწილეობა არეულობაში. ეს მიზეზები ინსტიტუტის კარედან იქნა შემოტანილი სტუდენტებ შორის. ხურავს რა ინსტიტუტს, ფინანსთა მინისტრი ხელმძღვანელებს იმ მისაზრებით, რომ უმადლესი სასწავლებლის მისწრაფება უნდა იყოს მხოლოდ სწავლა, მისი მიზანი უნდა იყოს მხოლოდ სტუდენტებისთვის უმადლესი სწავლის შეძენა და მხრუხველობა ამ მხრივ. მაშინდა რეწელს შეუძლებელი იყო ამ მიზნის მიღწევა, რადგან ინსტიტუტში ხანგრძლივით შესწავლა ლექციების მოსმენა და არც მოსწავლე ახალგაზრდა იყო დამშვიდებული, ამიტომ ფინანსთა მინისტრს არ შეუძლია გამოეშვას ინსტიტუტიდან იხურებათ იმისთანა ზირნი, რომელნიც თვისი სწავლით არ არიან დირსნი ამ თანამდებობისა. აცხადებს რა დროს მწუხარებას მინისტრი ინსტიტუტის დახურვის გამო, გამოთქამს იმედს, რომ შემდეგ წელში მინისტრი აღარ განიშორდება ამისთანა არა სავსივით

ზომების შემოღება ინსტიტუტში სწავლის შეწყვეტის მიზეზითა — სარატოვის ხელახლებს განუზრახვით შეიძინონ საზოგადოება აზრიანი გასართობისა. — ეკატერინბურგში არსდება სახელობის რეალური სკოლა შებისათვის; ამისათვის იქვე უნდა იყოს ბიბლიოთეკები და ყველა ის ნივთები, რომელიც საჭიროა ნიმუშათ; გამართულ უნდა იქმნას ხოლომე წარმოადგენი, სახალხო კითხვები, საღამოები, ბალები და სხ. ეხლა საჭიროა დამტკიცება ამ წესდების და მეტი არაფერი. — ნიჟნი-ნოვგოროდში ექიმმა ლაშინოვმა შეიტანა ამგვარი პროექტი, რომ ქალაქის მმართველობამ დაიჭიროს „შინაური“ ექიმი ლარობათთვის, ამასთან დღით წასვლა ეღირება 50 კ., ღამით კი 1 მ., ეს ფული ქალაქს უნდა გადახდეს. თითო ამგვარ ექიმს მეუძლია იმოქმედოს 6—7 ათას მცხოვრებში, მისივე გამოანგარიშებით მთელი ხარჯი ექიმზე არ აღემატება 1200 მანეთს. ეს პროექტი კრებამ გადასცა ინსპექტორებულ კომისიისა. **სამშობლოს ცახე.** დიდ-მარხვაში თფილისის ქალაქის მართველობის „დაყოფებულ მამებს“ ხორკის მადა ავეშალათ. მათ მონასტერში მხოლოდ „ჩალოლაჯ-სუკის“ ნეტარარიანი-ლა გაისმის. ისინი უგალობენ თფილისის ყასბებს, მაგრამ სულ სხვა-და-სხვა ხმაზე და სხვა-და-სხვა ჰანგზე. ზოგი მათგანი ბატკანივით დატირის თავს საცოდავ ყასბებს და მოციქულობს მათ საცხონებლათ, ზოგი კი, რომელთაც არა წამთ ყასბების უმანკობა, ულოცავენ მათ, რათა განწმინდონ და განბანონ იგინი ცოდვითაგან მათთა. პირველთა შორის თავი იჩინეს ხმოსან ბაბოვმა და ქორიარიანიცა. სწორეთ კამბეჩის ტყავს დაალობდა მათი ცრემლები წარსული კვირის სხდომაზე, როდესაც საბჭომ გადაწყვიტა მოუღოთ ბოლო თფილისის ყასბების ბატკნობას, როგორც პარტუცევებზე ისე ქალაქის მცხოვრებ მეტყველებზე. და ამშენონ ქალაქის საყასბო, სადაც არც სასწორი იბრუდებს, და სქესისამებრ თვისისა კამბეჩის ტყავიდან კამბეჩი გამოძვრება და ლორის ნიჟურიდან მხოლოდ გოქი, და არა ბატკანი, როგორც ხდება ხოლომე ახლა, როდესაც ჩვენი ყასბები ნოეს კიდობნიდან გამოყვანილ კამბეჩს ხბოთ ასაღებენ და ვითარცა არხელოვანიურ ნაშთს ყიდიან მამა-სისხლათ. ხმოსანმა ბაბოვმა და ქორიარიანიცა ამის გაგონებაზე ხბოსავით ბღავილი შექნეს და არწმუნებდენ საბჭოს, რომ ჩვენი მხრივ ეგ მეტის-მეტი გულ-ქვაობა იქნება, რომ ამით შიგ კაკალ გულში დავკლავთ ყასბებს, გავაკოტრებთ ჩვენი კონკურენციით და რაღა გვემელება, როდესაც მათ დაწითლებულ ლოყებს მკრთალი ფერი შეეპარება და გატენილ ჯიბეს ეშხი მოაკლდებაო. ბევრი, ბევრი იბრძოლეს ამ ორმა გმირმა და ისიც კი უსაყვედურეს საბჭოს, რომ ჩვენივე ბრალია თუ დღეს თფილისში ხორცი ნეტარ-სახსენებელი გახდა, რადგან მეტის-მეტათ ვაფიროვებთ ყასბებს რაღაც მოგონილ ნიხრებით, ხორკის ხარისხებათ დაყოფით, პროტოკოლებით, ბრძანებით და სხვა-და-სხვაო, ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთური გენიითო. დავაცადოთ ცოტა, დეე გამდიდრდენ ჩვენი ყასბები და მაშინ, მაშინ ნახავთ, რომ სულ ხობხის ცორცითა გვეკვებავენო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბბ. ბაბოვს და ქორიარიანს ყოველთვის უკიდიათ კახხაზე ასეთი ფრთოსანები და ამიტომ სრულებითაც არ გვიკვირს, როდესაც ასე ერთგულათ გამოესარჩლენ „გასამდიდრებელ“ და აწ კი „ლარიბ ყასბებს!“ მაგრამ რა იცოდა ვახტანგ მეფემ, რომ ოდესმე მის საძირკველ ჩაღმულ თფილისის ბაბოვი და ქორიარიანიცა ყასბებს გადაცემდენ საყმით და საბატკნოთ. „მამა-შვილურთ“ მხრუნველობაც ამისა ქვიან. დიდი ლუქმა დიდ კაცსაო, და ხომ მო-

გენსენებთან ჩვენი ქალაქის პირმო შვილი სასწორი და არშინია, ხოლო რაც შეეხება ხალხს ეს—ხომ ყოველთვის ლუკმა უნდა იყოს; და თფილისელ ყასბების მადა ხომ უკვე გვაუწყეს ბაბოვ-ქოჩორიანცებმა.

მაგრამ, თუ მართლა სისრულეში მოიყვანა საბჭომ თავისი დადგენილება, ვეჭვობ ყელში გაეხირობათ „გასამდიდრებელ“ ყასბებს გემრიელი ლუკმა.

ჯერ ისევ 1899 წელს ჩვენმა ფეხმარდმა ხმოსნებმა გადმოვსწავლეთ სუფრაზე ერთი შავი საქმე შესახებ ყასბების მოსამსახურეთა დასვენებისა. მთელი სამი წელიწადია, რაც საცოდავი „საქმე“ წკმუტუნებს „საქმეთა“ სტოლის „იშჩიკში“ და მხოლოდ ამ გაზაფხულზე ეღირსა მზის დანახვა. ისიც წელში ცემით და კბილის ჩამტვრევით. ნათხოვნი იყო დასვენება კვირა დღეებში პირველ ოქტომბრიდან პირველ აპრილამდე საბჭოს ეს მეტის მეტ გასალაღებლათ მიუჩნევია და გამოუშვია ერთი თვე. ასე რომ ყ საბჭოს მუშებს კვირა დღეებში დასვენების ნება მიეცათ მხოლოდ პირველ ნოემბრიდან პირველ აპრილამდე, ე. ი. წელიწადში 20 დღე. მოდი დანუ მიულოცავენ ჩვენი ყასბები დიდ მარხვაში აღდგომას ასეთ მათთვის თავგამოდებულ „მამებს“.

\* \* \*

ქიზიყში ძრიელ იშვიათია მელას საქათმის კარზე გაუთენდეს; მაგრამ თუ გაუთენდა კი შენი მტერი როგორც ქიზიყელმა მას თვალთ დაუბნელებენ. მათი მოსამართლე კეტია, და მისი თანაშემწე კი მუშტი. სწორეთ ასეთი განჩინება დაასვეს ბოღბელებმა თავის სოფლის წარსული წლის პატრონ მფარველთ, რომელთაც სოფელში მოკრეფილი 1200 მანეთი საკუთარ ხაზინაში შეეტანათ. მელები კუდი-კუდ გადაბმული გამოიყვანეს სასოფლოზე მასაყის გასაკეთებლათ და შემდგომ კი მიუხტნენ სახლებში საიდანაც გაიზიდეს მათი ავლადილება. ხოლო ერთი მელათაგანი ისე ეშმაკურათ დამალულიყო, რომ კინალამ ხელახლა საქათმეში არ ამოყო თავი. ის შიშისაგან დარტყნიებული ჩამძვრალა მათრაშაში, რომლისათვისაც ცოლის შეუკრავს პირი. და როდესაც ხელკეტთან მოსამართლეებს აეწიათ მათრაშაც „კანცელარიაში“ წასაღებათ, მელას კუდი გამოჩენიდა.

შეიტანეს თუ არა მათრაშთან ბოღბელებმა მელა ისევ საქათმეში, ეს არ ვიცი, ხოლო ის კი ცხადია, რომ ამისთანა მელები მეორე თუ არა, მესამე დღესვე კვლავ საქათმოდან იძახიან ხოლმე ქიზიყში „ყიყილიყს“, ვინაიდან ცემას უფრო ადვილათ იტანენ ქიზიყელი სოფლის მელები, ვიდრე საქათმის მიტოვებას.

**ჭიათურის ამბები.**

წარსული თებერვალი დიდათ შესანიშნავი თვე იყო ქიათურის მწარმოებელთათვის. პირველი თებერვლიდან მოუმატა რკინის გზამ საქონლის მატარებლებს მიმოსვლის სიჩქარე, ასე რომ თუ ამდენ ხანს მატარებელი ქიათურიდან შორაპნაძი მიმოსვლას უნდებოდა სამ საათ-ნახევარს, დღეს იგი ორ საათსა და ხუთმეტ წუთს უნდება. მატარებლების სიჩქარის მომატებას მოყვა ის, რომ თუ აქამდის ოთხი ორთქლ-მავალის საშუალებით, რკინის გზა ნიშნავდა მხოლოდ ოთხ ან ხუთ მატარებელს დღეში, ესლა მას ეძლევა საშუალება დანიშნოს რვა მატარებელი დღეში, რომლითაც შეუძლიათ მწარმოებელთ აგზავნონ დღეში 140 ვაგონი მარჯანცი.

ორ თებერვალს პირველათ მოხდა ამ წელიწადში სხდომა ვაგონებისა და ბაქნების განმანაწილებელ კომიტეტისა. რამოდენიმე კითხვების გარჩევის შემდეგ სადგურის უფროსმა, თ-მა ბევრთაბევრმა, წარუდგინა კომიტეტს თავმჯდომარეს და მასთან კომიტეტის წევრებსაც საბუთები, რითაც დაუმტკიცა

მათ, რომ ვაგონების ნათხოვრობას და გადაცემ-გადმოცემას არა-სასიამოვნო შედეგი მოყვაო, ე. ი. ვაგონების მატარებლების მაგიერათ „ექსპორტიორების“ წარმომადგენლები ერთი-მეორეს თულზე უთმოზნო, და თხოვა ყველას: ვიშუამდგომლოთ რკინის გზის უფროსთან— მოსპოს ეს დროებით შექმნილი წესი ვაგონების ნათხოვრობის შესახებო. მწარმოებელთა წარმომადგენლებმა, ბ. ჟენტმა და მოდებამ დაუმტკიცეს თავმჯდომარეს, რომ ასეთ წესს არა-სასურველი შედეგი მოყვა აქნაბამდის, შემდეგში უფრო მეტს უნდა ველოდეთ და სასარგებლო არ არის უმეტეს ნაწილ მწარმოებელთათვისო და თავის მხრითაც თხოვეს თავმჯდომარეს შუამდგომლობა. თავმჯდომარემ განიხილა-რა დასაბუთებული თხოვნა კომიტეტის წევრებისა, შეპირდა მათ ამ კითხვის შესახებ უსათუოთ ვიშუამდგომლებ რკინის გზის უფროსთანო. ამნაირათ რკინის გზის წარმომადგენლები დარწმუნდნენ, თუ რამდენათ არა-სასიამოვნო შედეგი მოყვა ამ დროებით წესს ვაგონების განათხოვრებისას; წვრილი მწარმოებლები კი თავიდანვე გაიძახოდნენ, რომ ამისთანა წესს ასეთი არა-სასურველი შედეგი მოყვებოდა, საბჭოს თავმჯდომარეც, ბ-ნი ზდანოვიჩი ამ აზრის იყო 1900 წლის მწარმოებელთა კრებაზე. ესლა კი რას ვხედავთ? გაიგეს თუ არა „ექსპორტიორებმა“, რომ კომიტეტის თავმჯდომარე ცდილობს ამ დროებითი წესის მოსპობას, გამოაცხვეს ერთი ვებერთელა თხოვნა და მიართვეს ბ-ნი ზდანოვიჩს „გვიშველე, ვილუპებით ვაგონებით უკანონო სარგებლობა გვეკარგებაო“ და სხვა. ამ უკანასკნელმაც ასწია ეს თხოვნა და მიართვა თავის თავს, ე. ი. საბჭოს, ვანახილველათ, რომელმაც, რალა ლაპარაკი უნდა, დაადგინა: თხოვოს რკინის გზის უფროსს, რომ „ნუ მიაქცევს კომიტეტის თავმჯდომარის თხოვნას ყურადღებას, რადგანაც ეს დროებითი წესი ძლიერ სასარგებლო არის ყველა მწარმოებელთათვისო“. რას ნიშნავს ეს? განა ბ-ნი ზდანოვიჩს ესლა უფრო მეტი საბუთები არ ქონდა დამტკიცებია უვარგისობა ამ დროებითი წესისა იმ ერთი მუქა „ექსპორტიორებისთვის“, რომელნიც თხოულობენ ამ წესის შეუცვლელათ დარჩენას? ამას ვარდა ვიკითხავ: ნუ-თუ ქონდა საბჭოს წევრებს ან ზნეობრივი, ან იურიდიული ნება ჩარეულიყვენ ამ საქმეში? განა, როგორც საბჭოს წევრები არიან მწარმოებელთაგან ამორჩეული, ამ უკანასკნელთაგანვე არ არიან არჩეული კომიტეტში წარმომადგენლები? ნუ-თუ ეს მოქმედება კომიტეტის წევრების შეურაცყოფის მიყენება არ არის? ასეთი მოქმედებით საბჭოს წევრები იმას ეუბნებიან კომიტეტის წევრებს, რომ, თუ-მცა ჩვენც და თქვენც ამორჩეული ვართ მწარმოებელთაგან და ჩვენ ჩვენი საქმე გვაქ მიჩენილი, მაგრამ რაც ჩვენ არ გვსურს, ისეთ საქმეს, თუნდ ეს უკანასკნელი სასარგებლოც იყოს უმეტეს ნაწილ მწარმოებელთათვის, მაინც ვერ ვაკეთებთ.

რვა მარტს აქ გვეწვია ახლათ დანიშნული რკინის გზის უფროსი, ბ-ნი ივანოვიჩი. დათვალე რა ყველა საწყობები მარჯანციისა, გზები და სხვა. საბჭოს წარმომადგენელი არავინ დასწრებია, რომელსაც შეეძლო გაეხსენებია და ეჩვენებია, რა იყო მათთვის საჭირო და რა არა. მე კი მგონია, მკითხველო, რომ ამ დღისთვის თვით ბ-ნი ზდანოვიჩსაც რომ შეეწუხებია თავი, მობძანებულიყო ქიათურაში და აეხსნა აქაური მრავალი ნაკლულევალება რკინის გზის მხრით ძრიელ სასარგებლო იქნებოდა წარმოებისათვის. მეორე დღეს, ე. ი. 9 მარტს გვეწვია ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც არის დანიშნული რკინის გზის სამმართველოში, ბ-ნი ტეროგოვი; მას უნდოდა გავეო, თუ რა ჯდება ფუთი ქვის გაკეთება; რა-დენს იღებენ მამულის პატრონები იჯარას; რა-დენი ჯდება ფუთი ქვის გამოტანა მალაროებიდან ბაქნებამდის, არის საჭირო

განათება ღამე ბაქნებზე ან როგორც; არის ბაქნების გაღახუ-  
რვა საქირო თუ არა და ყველაზე უფრო მას აინტერესებდა  
კითხვა „ტარიფის“-ს დაკლების შესახებ რკინის გზაზე ქიათუ-  
რიდან შორაპნამდე და სხვა და სხვა. აი, ბატონებო, ნუ თუ  
იმისთანა კითხვას, როგორც არის უკანასკნელი, ე. ი. „ტა-  
რიფი“-ს დაკლება, საბჭომ არ უნდა მიაქციოს ყურადღება?  
ბ-ნი ზღანოვიჩი რომ 8 მარტს აქ ბძანებულიყო, საღამოს გა-  
იგებდა, რომ მეორე დღეს ბ-ნი ტეროგოვი მობძანდება და  
ყოლიფერს დაწვრილებიო აუხსნიდა, და იქნებ რაიმე გვშეველე-  
ბოდა. შეიძლება, საბჭო ფიქრობდეს, ჩვენ მოხსენებებს და-  
ვწერთ, რკინის გზის უფროსსაც და სამინისტროსაც ისე მიე-  
მართავთ და საქმეს გავაკეთებთო, მაგრამ ძალიან შემცდარი  
არიან. მარტო წერილებში მოყვანილი მაგალითებით არც ერთ-  
თი მთავრობა არ თანხმდება, მინამდის ადგილზე არ განიხი-  
ლავს ყველა იმკითხვას, რაც წერილებში არის მოხსენებული,  
და აი ამ დროს, ე. ი. როდესაც თვით მთავრობის წარმომად-  
გენელი, ადგილზე არჩევს კითხვას; მაშინ უნდა დასწრება  
წერილის დამწერისა და, რაც დაუწერია მოხსენებაში, იმის და-  
ცვა.

დასასრულ ვურჩევ საბჭოს ჩემი ცოდვილი პირით „კა-  
ნცელარია“-ს უფრო ნაკლები ყურადღება მიაქციოს და თვით  
ადგილზე იმუშაოს.

K.

**ოჯახის წარმოშობა და განვითარება.**

(გაგრძელება—იხ. № 11).

მეორე კითხვა, რომელიც ჩვენ უნდა გავითვალის-  
წინოთ, მდგომარეობს იმაში, თუ რა ფორმები ოჯახსა წარ-  
მოიშობა ამგვარი გეტერიზმისაგან. პირველათ გაჩნდა ქალის  
მოტაცება (ღებოკი). როგორ მოხდა ეს? ჩვენ ვიცით, რომ  
ყოველ თემის წევრებში იყო დიდი სოლიდარობა, მაგრამ ეს  
არ სუფევს თემებთა შორის: სიცოცხლისათვის ბრძოლაში გა-  
მოიწვია მათში ბრძოლა და ნიადავ ჩხუბი. რადგანაც ისინი მხო-  
ლოთ ნადირობითა და მეთევზეობით ცხოვრებდნენ, ამისათვის  
ისინი იძულებული იყვნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე  
—უფრო უკეთესზე გადასულიყვნენ. აქედან ადგილი წარმოად-  
გენია, თუ რა ყოველ-დღიური შეტაკებები მოხდებოდა თემთა  
შორის. „ჩხუბის დროს ქალებს, როგორც უიარაღო არსე-  
ბებს, ისე მხეცურათ არ ექცეოდნენ, როგორც კაცებს“<sup>1)</sup>.  
ამასთანავე, თუ კი თემი იძენათ მაინც იყო ძლიერი, რომ  
დატყვევებული ქალები ერჩინა, რასაკვირველია, მაშინ ის მათ  
მონებათ აქცევდა; თავის-თავათ იგულისხმება აგრეთვე, რომ  
თემის წევრებს ამ მონებთან სქესობრივი დამოკიდებულება  
ექნებოდათ. რამდენათ დრო მიდიოდა, იმდენათ უფრო ეს გა-  
რემოება ხშირდებოდა, ასე რომ ქალის მოტაცება ეხლა ჩვე-  
ულებათ გარდაიქცა. გაჩნდა ჩანასახი ეგზოგამიისა. ავსტრალი-  
აში ეხლაც საუკეთესო ჩვეულებაა ქალის მოტაცება. ასევე  
იყო საბერძნეთშიაც. გარდმოცემა მოგვიტხრობს, რომ ტეზე-  
იმ და პირიტმა შეკრეს კავშირი მშვენიერ ელენას მოსატა-  
ცებლათ; ამასთანავე, ვისაც ელენა შეხედებოდა წილის ყრით,  
ის მეორეს უნდა დახმარებოდა სხვა ქალის მოსატაცებლათ<sup>2)</sup>.  
რუსეთშიაც იყო ჩვეულებათ გადაქცეული ქალის მოტაცება,  
რასაც ნათლათ გვისახავს მათი ხალხური პოეზია. რაღა შორს  
წავიდეთ მაგალითებზე, როცა ჩვენს ზოგიერთ მიყრუებულ  
სოფლებში ეხლაც ბევრია მაგალითები ქალის მოტაცებისა!..

იმ დროში, როცა ქალის მოტაცება დაიწყო, კერძო სა-  
კუთრება კიდევ არ იყო აღმოცენებული; ამისათვის ყველა

მოტაცებული ქალი საერთო საკუთრებას შეადგენდა. ავსტრა-  
ლიაში, ბრზალიის ინდიელებში, ესკიმოსებში და ჩქ. ქალღმინც  
უნდა მოიტაცოს, ის მაინც მთელ თემს ეკუთვნის. ავსტრალიაში  
ერთო ცოლიანობა (общность жень). რომ ქალები საყოველ-  
თაო იყო ებრაელების განსაზღვრულ ჯგუფში, ამას მოწმობს მათი  
ჩვეულება, სახელათ ლევირატი: თუ რომელიმე ძმა მოკვდებოდა,  
მ.სი ცოლი მის მომტან ძმას უნდა დარჩენოდა. ასევე ყოფი-  
ლა ჩვენს მთიულებში, რომელთა ზნე-ჩვეულება პირველათ  
ცნობილმა მ. კოვალევსკიმ შეისწავლა. ის მოგვითხრობს, რომ  
ფშავლებში და ხევსურებში ახალ რძალს არ შეუძლია რამე  
დამოკიდებულება ქონდეს მამამთილთან და მამლებთან; ამი-  
სათვის მას არც კი შეუძლია მათ წინაშე პირი სახე ახდელი  
ქონდესო. ეს გარდამავალი ჩვეულება, ამბობს კოვალევსკი,  
მოწმობს იმას, რომ მათშიაც ერთს დროს ცოლები საყოველ-  
თავო ყოფილაო. ამას გარდა, თუ რძალს ქმარი მოუკვდა, ის  
თვის უფროს მზღს უნდა გაყვეს და თუ არ გაყვა, უნდა რა-  
მეთი დააკმაყოფილოსო<sup>1)</sup>.

ეხლა განვიხილოთ, თუ რა ცვლილება მოახდინა ოჯახ-  
ში ქალის მოტაცებამ. პირველ-ყოფილ ხალხში დიდი ერთობა  
და ძმობაა; რამდენათ ერთი რომელიმე თემი განკერძოებულია  
სხვა თემისაგან, იმდენათ უფრო მისი წევრები გავრთიანებუ-  
ლია საყოველთაო ინტერესებით. ეს გარემოება უსათუოთ  
დაღს დააჩენდა მოტაცებულ ქალების მდგომარეობას. „წარ-  
მოვდგინოთ, ამბობს კაუტსკი, რომ თემი A შემოზღუდულია  
ოთხი თემით: B, C, D, E, რომლებთაგანაც მას მოტაცებით  
მოყავს ქალები. ამ შემთხვევაში A-ს თემში ქალებიც გაიყო-  
ფება ოთხ ჯგუფათ: B, C, D, E. ამასთანავე ნუ დავივიწ-  
ყებთ, რომ ბავშვები ამ შემთხვევაშიაც თემს ეკუთვნიან; მა-  
გრამ ისინი იზრდებიან დედასთან, მამა კი არ არის აქ, მას  
ვერვინ იცნობს კერძო საკუთრების განვითარებამდის. ყოველი  
დედა, რასაკვირველია, თვის შვილებს გარდაცემს იმ თვისე-  
ბებს, რომელნიც ახასიათებენ მის თემს, და, მაშასადამე, დე-  
დები შვილებით დაიწყებენ განაწილებას, განკერძოებას, ასე  
რომ ეხლა თემი გაიყოფა რამოდენიმე ჯგუფათ—კლანათ“<sup>2)</sup>.  
ამნაირათ, თემი ეხლა წარმოადგენს რამოდენიმე დედათა კლანს,  
სადაც მიკედლებულია მათ-მათი შვილები; ეხლა ბავშვები ეკუ-  
თვნიან თავის დედის კლანს და არა თემს. აი, აქ გაჩნდა მა-  
ტრიაზხატი, რომელიც ქალების ტაცებით თანდათან ძლიერ-  
დებოდა. ამას გარდა, ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ  
მამა-კაცი მაშინ ნიადავ გარეთ იყო, დედა კი ნიადავ ბავშვებ-  
თან. ბავშვები დედას უფრო ეკუთვნოდნენ: მის მკერდზე იზრ-  
დებოდნენ და მასთან ქონდათ მფარველობა. ყველა ეს გარე-  
მოება გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ დედათა კლანების  
წარმოშობის დროს, შვილები უფრო თავიანთ დედებს მიეკე-  
დლებოდნენ, მით უმეტეს, რომ პირველ ხანებში ძუძუს წოვა,  
ლიპერტის მოწმობით, თითქმის 3—4 წლამდის გრძელდებო-  
და... ჰეროდოტი ამბობს ლიკიელებზე: ვისაც კითხავთ, ვი-  
სი შვილი ხარო, ყველა გეტყვის დედიტგან ჩამომავლობას და  
ჩამოგითვლის თვისი დედის დედასო. მონამ რომ მოქალაქე  
ქალი შეირთოს, მისი შვილები კეთილ-შობილნი იქმნებანო;  
პირ-იქით, თუ ვინმე მოქალაქემ მონა შეირთო, მისი შვილე-  
ბი მონებათ ჩაითვლებო. ლიპერტი ამბობს, რომ ეგვიპტეში  
ეგრეთ-წოდებული „წიგნი მკვლართა“ ყველას დედის სახელით  
იხსენიებსო<sup>3)</sup>. ყველაზე უფრო ზემო-მოყვანილ დედათა კლა-  
ნებს ახასიათებს ერთი ავსტრალიის ხალხი კამილოარი, რო-

<sup>1)</sup> М. Ковалевскій Очеркъ происхожденія и развитія  
семьи и собственности.  
<sup>2)</sup> Каутскій, ibid.  
<sup>3)</sup> Ю. Липпертъ, „Исторія семьи“.

<sup>1)</sup> Каутскій ibid.  
<sup>2)</sup> Каутскій, ibid.

მელზედაც ფიზონი მოგვითხრობს შემდეგს: კამილორის თემი  
 ორ ჯგუფათ (ანუ კლანათ) გაიყოფება; ერთ ჯგუფს შეადგე-  
 ნენ კუმიტები, მეორეს კი—კროკები. მათში ეგზოგამია საე-  
 სებით არის დაცული. ყოველი კუმიტი კანონიერ ქმრათ  
 ითვლება ყოველი კროკის ქალისა; აგრეთვე ყოველი კროკი  
 კანონიერ ქმრათ ითვლება ყოველი კუმიტის ქალისა. ახალ-  
 დაბადებული ეკუთვნის დედათა ჯგუფს და მიიღებს მის სახელს.  
 ყოველი კუმიტი ითვლება მამათ ყოველი კროკის ბავშვისა;  
 აგრეთვე ყოველი კროკი ითვლება მამათ ყოველი კუმიტის  
 ბავშვისა. ასევე იროკეზებში, სადაც თემი რამოდენიმე ფრა-  
 ტრით გაიყოფება; აქაც ეგზოგამია დაცული: ცოლი და ქმა-  
 რი სხვა-და-სხვა ფრატრიებს უნდა ეკუთვნოდნენ. ზოგიერთგან,  
 მაგ., სენეკ-იროკეზებში, თვით ფრატრებიც გაიყოფებიან რა-  
 მოდენიმე ნაწილათ, რომლებშიაც იმდენათ არის დაცული მათი  
 ზნე-ჩვეულება, რამდენათ თვით ფრატრებში <sup>1)</sup>. ჩვენ მა-  
 ხლობელ მთიულეებშიაც შედარებით ამგვარი წყობილებაა. ხევე-  
 სურეთში, კოვალევსკის მოწმობით, რამოდენიმე ჯგუფებათ  
 გაიყოფებიან; თუქცა მათში ეხლა გამეფებულია ერთი ცოლის  
 ყოლა, მაგრამ ეს უცოლოებს ხელს არ უშლით საყოველთა-  
 თათ ქალები ყავდეთ; ამას მოწმობს ის ჩვეულება, რომ იქ ქა-  
 ლიშვილები გათხოვებამდის აიჩენენ საყვარლებს, რომლებსაც  
 „ბაწალა“-ს ეძახიან. რადგანაც ამნაირ წყობილებაში შეი-  
 ლები დედისაგანაა დამოკიდებული, ამისათვის მათთვის დედის  
 ძმა უფრო ნათესავათ ითვლება, ვიდრე ძმა. ფშავ-ხევსურეთში  
 ეს მეტათ გავრცელებულია; განსაკუთრებით, შურის ძიებაში  
 მამობას დედით ბიძა სწევს. ამასვე მოწმობს ის ფაქტიც, რომ  
 მამის სიკვდილის შემდეგ, ობეკუნათ ისევ დედის ძმას აყენე-  
 ბენ, ეს იმერეთის ზოგიერთს კუთხებშიაც არის ეხლა. აქედან  
 აიხსნება ის გარემოებაც, რომ მემკვიდრეობა მამადგან შვილზე  
 კი არა, დისწულზე გადადიოდა. მაგ. ფეოდალებზე ნიკოლოზ  
 დამასკელი წერს: მთავრები თვის თანამდებობას გადასცემდნენ  
 თავის დისწულებს და არა საკუთარ შვილებსაო <sup>2)</sup>. ამნაირათ  
 წარმოიშობა ის, რასაც ჩვეულებრივ მატრიარხატს ეძახიან.  
 რადგანაც თემი ჯგუფებათ დაიყო და ეს ჯგუფები გახდნენ  
 ეგზოგამიურ კავშირებათ, ამისათვის წინააღმდეგი დაყოფა დგმა-  
 ზე გართულდა და მიიღო სულ სხვაგვარი სახე. აქ უკვე გაი-  
 გეს, თუ ვინ იყო ქმარის ან ცოლის ძმები და დები, თუ ვინ  
 იყვნენ ერთი მეორისათვის ქესლების შვილები. ამასთანავე,  
 ყველა მამაკაცი რომელიმე ჯგუფისა მეორე ჯგუფის ქალებს  
 (რასაკვირველია, თანაბარ დემისა) უწოდებს თვის საცოლოებს  
 და კაცებს—სასიძოებს. რაკი დამკვიდრდა დედითგან ჩამო-  
 მავლობა, უფროს დემის კაცებს ეხლა მამებს კი არა, ბიძებს  
 უწოდებენ და სხ. აქვე ის გარემოება უნდა აღვნიშნოთ, რომ დე-  
 დიდგან ჩამომავლობა და დედათა ბატონობა ერთი და იგივე  
 არ არის: შესაძლოა იყო, რომ რომელიმე სახლში დედიდგან  
 ჩამომავლობასთან გაცხარებული მამათა ბატონობა ყოფილიყო.  
 კოვალევსკი, რომელიც წინეთ დედათა ბატონობის მომხრე  
 იყო, ეხლა ასე წერს: დედათა ტომში მისმაგიერათ, რომ მათ  
 ქონრდათ უფლება, ეს უკანასკნელი მთლათ მათი ძმისა და ბი-  
 ძის ხელში იყოფო <sup>3)</sup>.

ქალის ტაცებისაგან თან-და-თან წარმოიშობა ქალის ეი-  
 ჯაც. როდესაც რომელიმე თემიდან ქალს მოიტაცებდნენ, ეს  
 ამ თემისათვის ღიდი შეურაცყოფა იყო; ამისათვის ის ყო-  
 ველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ სამაგიერო გადაეხადა მო-  
 ტაცებელისათვის, მის შურის-ძიებას ამ შემთხვევაში საზღვა-  
 რი არა ქონდა. მაგრამ ღიდი-ხანს გაგრძელდებოდა ამგვარი

უთანხმოება? რასაკვირველია, მანამდის, სანამ ეს შურის-ძიება  
 არ შემსუბუქდებოდა. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ სა-  
 მაგიეროს გადახდა სასყიდლის გამოართმევით <sup>4)</sup> დასრულდებოდა.  
 უმეტეს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში თვით დამტაცებელი  
 თემისთვის საჭირო იყო ქალების წამოყვანა მომტაცებელი თე-  
 მისაგან; მხოლოდ აქ ამგვარი თან-და-თან შეთანხმება ხან-  
 გძლივი გამოცდილებით და უმეტეს ნაწილათ ინსტინქტიუ-  
 რათ ხდებოდა. თუქცა ამგვარათ ყიდვა თან-და-თან გამოირ-  
 კვა, მაგრამ საზოგადო აზრში ძველებური წარმოდგენა მოტა-  
 ცებაზე, როგორც შეურაცყოფაზე და შელანძღვაზე, მაინც  
 დარჩა. აქედან წარმოდგა ის გარემოება, რომ ქალის ყიდვის  
 დროსაც საძლო და მისი მშობლები განგებ გალანძღულათ აჩ-  
 ვენებდნენ თავსა; აქედანვე აიხსნება ისიც, თუ რა ნაირათ  
 გასათხოვრათ დამხადილი ქალი სტიროდა და ოხრავდა, რას-  
 ც ნათლათ გვისახავს რუსული ხალხური პოეზია. საძლოს ტი-  
 რილი ჯვარის წერის დროს იმერეთშიაც არის გავრცელებუ-  
 ლი; თუ ტირილი არა, კვნესა და თავის მოღუშვა მაინც. გა-  
 რდა ამისა, ქალის ყიდვის გავრცელებას კიდევ სხვა გარემოე-  
 ბა ეხმარებოდა. საზოგადოთ მიღებულია, რომ ამ დროს, რო-  
 მელზედაც ჩვენ ამ წამში გვაქვს ლაპარაკი, ტენიკამ, ცოტა  
 არ იყოს, წინ წაიწია; ამან თავისთავათ გამოიწვია საცვლელი  
 ვაჭრობა თემებს შორის და განსაკუთრებით კლანებში, რა-  
 დგანაც ამ უკანასკნელების ურთიერთობა უფრო მშვიდობიანი  
 იყო. საცვლელი ვაჭრობა თემებს შორის მაინც მშვიდობია-  
 ნობას ჩამოაგდებდა და ეს ვაჭრობა გავრცელდებოდა, რასა-  
 კვირველია, ქალებზედაც. ჩვენ ვიცით, რომ მოტაცებული ქა-  
 ლები თემის საერთო საკუთრებას შეადგენდნენ; მათი მდგომარე-  
 იობა უზრალთ მონების მდგომარეობას ემზავებოდა; რა-  
 დგანაც შეეძლოთ ისე მოპყრობოდნენ, როგორც მოეხასიათე-  
 ბოდათ. მათი დამცირებული მდგომარეობა, ამბობს კაუტსკი,  
 რასაკვირველია, თვით თავისუფალ ქალებზედაც გადავიდოდა  
 და საზოგადო აზრში, ცოტათ თუ ბევრათ, იმათაც დამცი-  
 რებდა. აქედან კიდევ ერთი ნაბიჯი—და ქალების ყიდვა-გაყი-  
 დვა უზრალთ ჩვეულებათ გადაიქცეოდა. ქალის ყიდვის მაგა-  
 ლითები ბევრია <sup>5)</sup>. მოვიყვანოთ ზოგიერთი კაუტსკის შემო-  
 ხსენებული შრომიდან. აღმოსავლეთ აფრიკაში კუნამასა და  
 ბორგას ხალხში რამოდენიმე საყიდელი ეძლევათ რძლის ნა-  
 თესავებს (ჩანს, იქ საერთო საკუთრებაა). სამოედებში რძლის  
 მამა მხოლოდ ერთ წილს აიღებს სასყიდლიდან, დანარჩენი  
 მახლობელ ნათესავებს მიაქვთ. არაუკანებში, ქმარმა რომ ცო-  
 ლი მოკლას, არაფერია, რადგანაც მან ის იყიდა, ჩინეთში  
 ქმარს შეუძლია გინდ სასტიკათ დასაჯოს, გინდ ძლიერ გალა-  
 ხოს. ამგვარი ჩვეულება იმერეთის ზოგიერთ მიყრუებულ სო-  
 ფლებშიაც არის გავრცელებული; ქალის გადახვა ხანდახან  
 დიდ წნელითაც ჩვეულებრივი მოვლენაა. რადგანაც ეხლა  
 ცოლი ქმარის საკუთრებაა, ამისათვის მისი ნაყოფიც, ესეიგი,  
 მისი შვილებიც მისი საკუთრებაა და შეუძლია მათ მოეპყრას  
 ისე, როგორც ცოლს: გალახოს, გააგდოს, მოკლას და სხ.  
 როგორც ხედავს მკითხველი, შემოხსენებული ფაქტები აღმო-  
 ცენდა ამნაირათ. დროთა განმავლობაში ტენიკა, საწარმოვე-  
 ძალა თანდათან ვითარდებოდა, ასე რომ თემს ეხლა შე-  
 ეძლო გაყოფილიყო რამოდენიმე ჯგუფათ და ისე განცალკე-  
 ვებით გაეწია უღელი სიცოცხლისათვის ბრძოლაში. ამ გან-  
 ცალკევებას მოყვა თან, ცოტათ თუ ბევრათ, შრომის განა-  
 წილება, რამაც თან აღმოაცენა იდეა საკუთრებისა. რამდენათ

1) Ковалевский, ibid.  
 2) Ковалевский ibid  
 3) Ковалевский. Законъ и обычай на Кавказѣ.

\*) გაიხსენეთ იაკობის ისტორია, რომელიც რამოდენიმე წელს ემსახუ-  
 რა ქალისათვის თავის ნათესავს, ბიძას; მაგრამ, რაც მოატყვეს და ამო-  
 ჩეულის მაგიერ სხვა ქალიშვილი მიცეს, ის კიდევ იმდენ ხანს ემსახურე-  
 ბოდა, რომ წინათ არჩეულიც წაეყვანა.

დრო მიდიოდა, იმდენათ უფრო ვითარდებოდა ამგვარი პროცესი. გაჩნდა თანაც საცულები ფაქრობა, რომელიც გავრცელდა ქალებზე მათი მოტაცების მიზეზის გამო. მოტაცების პირველ ხანებში თუ დამოკიდებულება დედათა კლანებში იყო, ეხლა, ესე იგი, ქალების ყრდის დროს მას მნიშვნელობა თან-და-თან დაეკარგა; თუ მაშინ ცოლი უფრო დამოუკიდებლათ გრძნობდა თავის თავს, ეხლა მისი მდგომარეობა უკუღმა მოტრიალდა. მამათა უფლება თან-და-თან განვითარდა თანაბრათ კერძო საკუთრების განვითარებისა, ასე რომ, როდესაც ქალის ყრდა-გაყიდვა უმწვერვალეს წერტილს მიაღწია, ცოლი ქმრის ხელში უბრალო საკუთრებათ გარდაიქცა. რადგანაც ცოლს ასე დაემართა, თავის-თავათ იგულისხმება, რომ შეილებსაც იგივე ბედი მოელოდათ: ისინიც დედასთან ერთათ მამის კერძო საკუთრებათ გარდაიქცნენ. თუ შეილები უწინ თემს ეკუთვნოდნენ, მერმე—დედათა კლანს, ეხლა ისინი მამისკენ უნდა წასულიყვნენ. ერთი სიტყვით, ქალების ყრდა-გაყიდვის განვითარებამ ჩაღო ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც მაგრათ მოიკიდა ფეხი ეგრეთ წოდებულმა პატრიარხატმა. ამისთანავე ამგვარ პროცესს ნიადაგს უმზადებდა შემდეგი გარემოება. ჩვენ ვიცით, რომ კლანების დაარსებას ხელი შეუწყო მაშინდელმა დაუდგომელმა ცხოვრებამ. მაგრამ, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, თემის ცხოვრება თან-და-თან უფრო უმჯობესდებოდა და ის დაადგა თან-და-თან დამყარებულ ყოფა-ცხოვრებას, მაგალითათ, მიყო ხელი მიწის მუშაობას და ცხოველების მოშენებას. აქედან წარმოიღვა ის, რომ ცხოველები გარდაიქცნენ კერძო საკუთრების საგნათ, მიწის მუშაობამ მიიყვანა ოჯახი სახლის და რომელიმე ალაგის კერძო საკუთრებაზე. ეს გარემოება კი ეწინააღმდეგებოდა არსებულ შემკვიდრებობით კანონს, რომელიც შემკვიდრებობიდან რიცხავდა ვაჟი-შვილებს. ამგვარი უთანხმოება თან-და-თან ძლიერდებოდა და ბოლოს მოულო ბოლო არსებულ დედიდან ჩამომავლობას და მის ალაგს წამოაყენა მამა.

გრ. როსაქიძე

(შემდეგი იქნება)

საკვლავოგამადო საკმა.

ქაბატონო რედაქტორმა! უმარნილესათ გასაოთ ადგილი დაუთმეთ შემდეგ შენიშვნას: მამაფალ სოფელ ციხე-სუყავისტეის სამკითხველთათვის ჩვენ განვიზრახეთ შეგვეკრათ ფული, რისთვისაც გამოაწვევთ გურულ მკალიდოვთა სორა და სომბაგათ ჩამოვიარეთ დაბა ჩოხატაურში და ქალაქ ქუთაისში რადენიმე ოჯახები და მადანები, რის სამაგერათაც კეთილ ინებეს და არ დაიშურეს თავისი წვლილი შემდეგს ხარებმა. იმურეთის ეპისკოპოსმა უოჯლად სამდვდელო ლეონიძმა 10 მანეთი, მისე ქიქციქემ, ილიტე იონესიანცისამ, დავით ხელთუფელიშვილმა, ვასილ ბუჟანეიშვილმა, იოსებ გოკიელოვმა—ხუთ-ხუთი მანეთი; კალისტრატე ჩიკვაძემ, სიმონ ღორთქიფანიძემ, სტეფანე ფეიქაროვმა, მელახია გველესიანი-სამ, ნიკოლოზე ჯანელიძემ, მიტროფანე ლადიქემ, გიორგი გემულარიამ, ასლან გველესიანი, ბიქტარ შველასემ—სამ-სამი მან. ბენედიქტე შუკარსემ, გუდარა კალანდაქემ, ერმილე ასათიანმა, ანდრია ბენაშვილმა, გიორგი ხუნდაქემ, ფარნაოზ გაბუნიამ, სტეფანე ოცხელმა, ორ-ორი მან. თედორე შვეგელიშვილმა 1 მ. 55 კაპეიკი, ვასილ უორდანიამ 1 მ. და 50 კაპეიკი, ბენედიქტე შიმთარიამ 1 მან. და 55 კაპეიკი, ანტონ ჩანტლასემ 1 მ. და 50 კაპ. ივანე ერისთავმა 1 მ. 50 კაპ., ვლადიმერ გეგეკელიძემ, ენიფანე კანდელასემ, ჯაბა ერისთავმა, დავით ერისთავმა, დავით გეგეკელიძემ, კანტონ ასათიანმა, სიმონ თავაიშვილმა, ირაკლი ბებურიშვილმა, მისილ გატოვიანმა, ანა ნადირაძისამ, ალექსი სისარულიძემ, ნესტორ ჯაშმა, ივანე მინდაქემ, არსენ ჩხიკვაძემ, ივანე გურგენიძემ, მაქსიმე ცინცაქემ, ივანე ცინცაქემ, მისიკო ცინცაქემ, მისიელ მინდაქემ, კა-

სტა შარაშენიძემ, დიმიტრი კატრიკაძემ, სიმონ შვეგელიშვილმა, იესე ასოფელიშვილმა, გიორგი ჩხიძემ, სტეფანე თარგამაძემ, ივანე კილაძემ, სარიტონ ჯაშმა, ილიანე საბაქემ, ბენედიქტე შიქიძემ, ლე ჩხატარაიშვილმა, ლავრენტი წერეთელმა, ვლადიმერ გეგეკელიძემ, ნიკო მკურნაძემ, ექვთიმე ლიუბინცკიმ, სალომე კერესელიძემ, ფილიპე ქელოძემ, სიმონ კალანდარიშვილმა, არსენ წითლიძემ, იოსებ ლემბასემ, ვექელიძე გელაზაროვმა, ჯანსუხ ლადიქელიანმა, ბატონმა დოდაკემ თათო მანეთი. ალექსანდრე დოლიძემ 90 კაპეიკი სტეფანე ფირალოვმა 1 მ. 20 კ., ირაკლი ცინცაქემ, სიმონ სისარულიძემ, შირინ შვალაბელიშვილმა, გიორგი ვასაძემ, ნესტორ მამლასემ, ქიშვარდი დუმბასემ, ტატო ბურძენიშვილმა, ჩებტინე შინაძისამ, სერაფიმონ რამიშვილმა, ქიშვარდი წიტიანიშვილმა, ვლადიმერ ცინცაქემ, ნესტორ გეგეკელიძემ, იას კალანდაძემ, დიმიტრი გიორგაძემ, რაფაელ გეგეკელიძემ, იესე ხუნდაქემ, ვლადიმერ უნჯიაძემ, ვლადიმერ დუმიძემ, ივლიანე თედორამ, ვლადიმერ ნავაშიძემ, ელისო ჭეჭინაძისკებ სანადირაძემ, ბენ ბახტაძემ, მისიელ ერისთავმა, შოკოლოზ შარაშენიძემ, ვასილ ხუჩინაძემ, ნიკო ჩიქოვანმა, ნიკო შვალაბელიშვილმა, ათ-ათი შურა. ანტონ კუხიანიძემ, ნიკო მსელასემ, ანდრია გეგეკელიძემ, ალისტრა სისარულიძემ ორ-ორი ანაზი. ნესტორ ბოლქვაძემ—30 კ., ბესო შიმთარიამ—25 კ., ევტინი ნავაშიძემ—25 კ., ივანე სისარულიძემ—25 კ., ივანე შაიჭაძემ—20 კ., დავით გეგეკელიძემ (ვექელიძე)—20 კ., ვლადიმერ შვეგელიშვილმა—20 კ., ფადიმე უშვერიძემ—20 კ., გურასიმე ნინიძემ—20 კ., ანაგო სისარულიძემ—20 კ., კარბუხ სისარულიძემ—5 კ., ვირილე გოგიშვილმა—5 კ. სულ—ას ორმოცდა შვიდი მანათი და სამოცდა ხუთ მუტი კაპ.

დიდი მადლობას ეწირავთ ზემო ჩამოწერილ მატეველებს შორს, რომლებმაც ჩვენ გამოწყობულ საქმეს თანხუგრძნეს და არ დაიშურეს თავისი წვლილი ამ კეთილ საქმისთვის. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან: თამარ ერისთავი, ელენე გეგეკელიძე, ვლადიმერ გოგიშვილი და ჯაბა ერისთავი, რადგან მსურვალე მხარწილეთა შიილეს და დაბა ჩოხატაურში ჩამოვიდის დროს ჩვენთან იმგვარეს, რითაც დიდი დახმარება გავუწიეს. ცინის ორგანიზაციის შულის დამაარსებელი ძმანი შარაშენი.

თვითისის კერძო სამკურნალო ბ. გელაქანიშვილისა

(გუგია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).  
ტელეფონი № 247.  
ავთომოტებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:  
დ ი ღ ი თ:  
ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.  
მისიელ გელაქანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.  
ქ. გ. ფედოროვი — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.  
გ. გ. მალაღაშვილი — შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.  
ვ. დ. ლამაშიძე — შინაგ. 10—11, სამშაბათს და ხუთშ. 1—2.  
ნ. ა. მუღინი — ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.  
ო. ნ. ასლანიშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.  
ქ. მ. ელიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.  
დ. ა. გელაქანიშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.  
ს. გ. ბარსუკავი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათ, და პარასკეობით, 12—1.  
ს. ა. ვოინო — ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.  
გ. მ. ამბარდნოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.  
ს ა დ ა შ ი თ ი:  
ო. ნ. თუშანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.  
ს. გ. მალაღაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.  
ქ ვ ი რ ა ბ ი თ:  
გ. გ. მალაღაშვილი — შინაგან ავთომოტ., 10—12.  
სტაშა ქ. ი. მარტიროსიანცისა, ორბელიანოვის ქუჩა, 1—2.